საკითო ბაჯები

№1 (640)
ოთხშაბათი
12 იანვარი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

დალოცვის და გამხნევების ნაცვლად
რატომ დაგვწყევლა ახალ წელს ქალბატონმა პრეზიდენტმა?

ელიზბარ ჯაველიძე:

საქართველო, უპირველეს ყოვლისა!

დიმიტრი ლორთქიფანიძე:
„კავკასიური ცარცის წრე“ ქართული პოლიტიკური თეატრის სცენაზე

რა განსხვავებაა გერმანელ და ქართველ ფაშისტებს შორის?

გერმანელმა ფაშისტებმა გერმანელი ერი განადიდეს, ქართველმა „ფაშისტებმა“ („ნაციონალებმა“) დაჰაუ და ოსვენციმი ქართველებსვე მოუწყვეს

„ვის შევჩივლო – რუსთაველი მკვდარია!“

ვეკითხები კომისიის წევრებს: აი, ეს თხემით ტერფამდე უნიჭო პოეტი, მაგრამ თხემით ტერფამდე „დელეცი“, ქართული მწერლობის წყევლა, ქართული მწერლობის მესაფლავე, ქართული მწერლობის მდედრობითი სქესის სეთური, რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ რუსთაველის პრემიის ლაურეატად?

2021 წელს ყველაზე მეტად გამდიდრებული მილიარდერები

თბილისი
აფთიაქების ქალაქი

„ადამიანი-აჯაფსანდალი“, ანუ ცოტა რამ მიხეილ სააკაშვილის ყაზახური ნარმომავლობის შესახებ

საქსტატია თუ იუმორისტულ-გასართობი კლუბი?

უნდა შეუერთდეს თუ არა საქართველო 3+3 ფორმატის პლატფორმას?

„საკითო ბაჯები“ – ბაჯები ბოლოჯერ ჯკითხვერისთვის

რედაქტორის სვეტი

ვახტანგ ხარჩილავა:

შობა-ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

ყოფილიყოს ეს წელი მშვიდობის, წარმატებების, წინსვლისა და განვითარების წელი.

რაც მთავარია — 2022 წელს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს ეზეიმოს პანდემიის დამარცხება.

ვფიქრობ, 2022 წელი განსაკუთრებული მნიშვნელობის წელი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

ველოდები, რომ ამ წელიწადს „ნაცმოძრაობა“ რამდენიმე პარტიად დაიშლება და ამით დამთავრდება ამ კრიმინალური ძალის თვრამეტწლიანი პარპაში ქართულ პოლიტიკაში.

ველოდები, რომ 2022 წელი ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის წელი იქნება, ოღონდ არა იმ ფორმითა და იმ დემაგოგიური შინაარსით, რომელსაც ნაციონალი ფარისევლები და თვალთმაქცები დებენ ამ უმნიშვნელოვანეს იდეაში.

ეროვნული თანხმობა და ერთიანობა ნამდვილად საჭიროა, მაგრამ არა იმისთვის, რომ ჯალათებს შევურიგდეთ, არამედ იმისთვის, რომ მთელი ერი შეთანხმდეს: მკვლელებთან, ქვეყნის მოღალატეებთან და გამყიდველებთან შერიგება და შეგუება არ შეიძლება!

ასეთი შერიგება, შერიგება კი არა კაპიტულაციაა!

თანხმობის მოტივით კაპიტულაციისკენ გვიბიძგებენ ვიღაც-ვიღაცები და ამას ისე აკეთებენ, თითქოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიდ ეროვნულ საქმეს უყრიდნენ საფუძველს.

ეროვნული თანხმობა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ბოლომდე აღდგება სამართლიანობა და დამნაშავეები ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილი იმ უმძიმესი დანაშაულების გამო აგებენ პასუხს, რომლებიც, ჯერჯერობით, საგამოძიებო ორგანოების თაროებზეა შემოდებული.

მთავრობის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები გვაფიქრებინებს, რომ 2022 წელს სათანადო ჩარჩოებში მოექცევა საქმიანობა იმ ბიზნესწრეებისა, რომლებიც თავიანთი წრეგადასული სიხარბით და ზემოგების მიღებისკენ მანიაკალური სწრაფვით საფრთხეს უქმნიან და ამუხრუჭებენ ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას, დამატებითი პრობლემების წინაშე აყენებენ სოციალურად ისედაც შეჭირვებულ მოსახლეობას.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა სააფთიაქო ბიზნესში, ჯანდაცვის სფეროში, რომლებიც, ფაქტობრივად, მაფიური კლანების სათარეშო ასპარეზად იქცა.

ვფიქრობ, ხელისუფლებამ უფრო ხისტი და მკვეთრი ზომები უნდა მიიღოს ამ დარგებში არსებული სერიოზული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

და ბოლოს: დროა, „ქართულმა ოცნებამ“ იფიქროს ქართული სახელმწიფოს ახალ ჰიმნზე, ახალ დროშაზე, ახალ ღერბზე, თორემ „საакაშვილის ჰიმნით, სააკაშვილის დროშით, ვერ გაიმარჯვებს ქვეყანა სააკაშვილთან ომში“.

რეზო ამაშუკელი

დაინგრა უკვე, ბიძიებო, თქვენი ხუხულა!



... ვისაც რომ ქვეყანა უყვარს,
ცხოვრება მისთვის ომია!...
ვაჟა-ფშაველა

მე დრომ დამტოვა უდაბნოში,
ხელზე ხუნდებით,
მხრავს მღვრიე ხვატით
მობრიალე ბორკილალი, ავი!
მოხვრიპა ქარმა
შხეფი გამდნარ იაგუნდების...
და ხტის და მკორტნის გარეშემო
ბებერი სვავი!.

გულაღმა ვგდივარ უდაბნოში,
სხეულს, დაკბენილს,
ვუმალავ მზეს და
ვიფარები ოქროსფერ ქვიშით...
და მეჩვენება სუნი ამბრის,
სუნი საკმელის...
და მკოცნის, მკოცნის
ცხელი ბაგით
სიკვდილის შიში!.

ერთგულებისთვის
დასჯილი ვარ,
როგორც ყოველთვის!.
ველარ ვერევი ცოდვით სავსე
კუზიან ხურჯინს...
— მჭკნარია ბაღი
ასკილისფერ სიმყუდროვეთი,
შორია ცაი,
განბანილი ზამბახით, ლურჯით!..

... ყურიდან მიყოფს ქლესა ენას
ძველი ოხუნჯი,
ქაღალდის კუდებს
შლიან ძველი „ფარშავანგები“!..
— მე მენატრება
სათაყვანო ჩემი მოხუცი,
მე მესიზმრება
მოღულუნე ბაგე განგების!.

ვინ ამაგლიჯა ავგაროზი,
რისთვის გამთვალა?!
სევდის ღრუბელი —
თეთრი კრავი
მდევდა აკვნიდან!.
— წვეტი მარგილის
ბედისწერამ რისთვის გათალა,
ყასბის ჩანგალი
მოედანზე რატომ დაჰკიდა?!.

— გავარდა მეხი!
დრომ ტკივილი ველარ დამალა!.
და დარბის „გიჟი“,
ფერწასული, ნიფხვისამარა...
და ვხედავ:—
ერთ დროს, ენამჭევრი
მეფის ამალა,
ერთი ნავიდან
მეორეში ხტება ნარნარად!...

ერთზე ამბობენ: —
„ყნოსვა აქვსო მეძებარ ძაღლის“,
უმალ გაძვრება,
მომლოდინე, ამინდის ახლის!.
ისეთს ქადაგებს,
გეგონება, ბორკილებს გაღრღნის,
მაგრამ, ვაი რომ,
ეგეც ჭრელი ჩიტია არღნის!.

ALMA MATER-ის კიბეებთან
„აგიტბრიგადა“,
როცა ჯღაოდა,
მაშინ თვალი რატომ წალულეთ?
რად გაინაბეთ,
სისხლი რატომ გადაგიგვარდათ,
როცა დევნიდნენ შენობიდან
მხცოვან სწავლულებს?!

იქნებ არც გახსოვთ,
მოტყუებულ იბერს, არულით,
რომ ჩასძახოდით დღე და ღამე
— „მიშა, მიშაო“!
— ბოლო იმედი,
კვლავაც გზნებით
„ლიბერალურით“,
არ დამინგრიოთ,
არ გაბედოთ,
არ დამიშაოთ!

თუ ვერ დაგვიხსნა,
თუ გაჭირდა,
ამ კაცსაც მალე
უღალატებენ,
ძველებურად დაბრეცენ თვალებს!.
საუბედუროდ, კარგად ვიცნობ
მათ ჯიშს და ჯილაგს —
ვინც სავლე იყო, კვლავ სავლეა
და არა პავლე!..

... დადის ქალაქში დიდი თავით
ვინმე პალიკო!
კანონი დაკლულ მამალივით
უჭირავს ხელში!.
... აწ ზნე კაცისა
როგორ უნდა გამომპალიყო,
რომ ციხეებში ჭლექი ყეფს და
სიკვდილი ხვნეშის?!

— აღსდექ, ქართველო!
ნუ გაცვდები, ნუ გახუნდები!.
და
„დექ მტკიცედ და ურყეველად“,
რწმენით, ნიადაგ!.
... მე დრომ დამტოვა უდაბნოში,
ხელზე ხუნდებით.
რადგან ჩემს ვარსკვლავს
გამოჩენა დააგვიანდა...

მანგრევს ზმანება: —
— მიწას ხელით თხრიან ქალები!.
შვილებს ეძებენ,
დათხეულნი, მარად წვალებად...
... ხურვალ ქვიშაში
შრიალებენ ღრიანკალები,
როკვით ელიან
მზის ჩასვლას და გარდაცვალებას!.

... ნავთის ჭრაქივით
ძლივს პარპალებს
თქვენი „შუქურა“,
საცოდაობას, მისას, ახლა
მტერმა უყურა!.
— გავარდა მეხი!
იმნაირი დაიგრუხუნა,
დაინგრა უკვე, ბიძიებო,
თქვენი ხუხულა!.

სხვა საწამლავი ურევია
ამათ გუნდრუკში!
დაგვასნეულეს შავი ჭირით,
არა ქუნთრუშით!.
ველარ დაგვარჩენს,
ველარ გვიხსნის სხვა რამ წამალი,
თუ არ გათავდა ამ ცვედნების
მყრალი კუნტრუში!...

27 ოქტომბერი, 2011 წელი

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება თვალსაჩინო ქართველი პიეტისა და საზოგადო მოღვაწის

რეზო ამაშუკელის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს, სრულიად საქართველოს.

„საერთო გაზეთი“

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი პოეტის, ჭეშმარიტი მამულიშვილის და პატრიოტის

რეზო ამაშუკელის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, მთელ ქართველ საზოგადოებას.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია

საქართველო, უპირველეს ყოვლისა!

გვესაუბრება
მწერალი, აკადემიკოსი
ელიზბარ ჯაველიძე:

— ბატონო ელიზბარ, როგორ ფიქრობთ, რა გზით უნდა იაროს ქვეყანამ, რა არის ჩვენი არჩევანი?

— ქართველს უყვარდა თავისი ენა, მამული, სარწმუნოება. ამ სამმა ბურჯმა გადაარჩინა სწორედ საქართველო. მაგრამ მერე, რა მოხდა? — კავკასიაში პირველმა ქართველებმა ვთქვით საკუთარ ეროვნებაზე უარი და პირადობის მოწმობიდან ამოვიღეთ. დღეს, პასპორტში ეროვნება აღარ იწერება. განა, ასე სამარცხვინოა ქართველობა?! აი, ეს არის მთავარი უბედურება. აბა, ჩაბრძანდით გერმანიაში, მაშინვე ანკეტას

ავსებთ, სადაც გეკითხებიან: საიდან ხართ, რა ჯიშის, რა გვარის და ა.შ. ბოლობოლო „ბალონკები“ რომ არიან, ძაღლს ვგულისხმობ, სუფთა ჯიშად რომ ჩაითვალოს მისი ათი წინაპარი მაინც უნდა იყოს ცნობილი. ადამიანებმა არ უნდა ვიცოდეთ: ვისი გორისა ვართ?!

არსებობს მეცნიერთა შრომები — „ევროპის დაცემა“ და „დასავლეთის სიკვდილი“. აქ, შემდეგი იგულისხმება: ევროპამ თავისი კულტურა დაივიწყა, დაკარგა. ახლა, ვითომ, ტოლერანტობას და ადამიანების სიყვარულს გვასწავლიან. გავიხსენოთ, ზოოპარკი, სადაც აბორიგენებს გალიაში ცხოველების გვერდით ამწყვრევდნენ. ამას სათავე ისეთ ცივილიზებულ ქვეყანაში დაედო როგორიც საფრანგეთია და შემდგომ, სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. დიახ, ცხოველებთან ერთად გალიებში ადამიანები ისხდნენ და მათ სანახავად ხალხი ფულს იხდიდა. ამ ზოოპარკებს 200 ათასამდე დამთვალიერებელი ჰყავდა. ადამიანების ზოოპარკის ინსტიტუტის წინააღმდეგ ჰიტლერი გამოვიდა, რომელსაც ფაშისტური იდეოლოგიის მამამთავრად მოვიხსენიებთ. ეს ზოოპარკი 1950 წლამდე არსებობდა. აქეთკენ თუ მივდივართ, ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე. აი, ვინ გვასწავლის, დღეს, დემოკრატიას. მათთვის ეს სიტყვა ადამიანის თავისუფლებასთან ასოცირდება. ზნეობრივ თავისუფლებას თუ გულისხმობენ, კი ბატონო, მაგრამ სამწუხაროდ, დემოკრატიას ცხოველურ თავისუფლებას ეძახიან. დღეს, სათავეში დგას ფული. ვისაც ფული აქვს, ის არის გონიერი, საქმის წარმმართველი და ა.შ. დღეს, „ნაცები“ თავგამოდებით იცავენ სააკაშვილს — კაცს, რომელმაც მოსპო ადამიანური მორალი და ზნეობა, გაანადგურა საქართველო, დაკარგა ტერიტორიები, ქუჩაში ჩაკლა ახალგაზრდები, ქართველი კაცი გააუპატიურა, ღირსება წაართვა. მეტი რაღა უნდა დაეშავებინა?! მან და მისმა დამქაშებმა მოიპარეს ხალხის ფული, საზღვარგარეთ ოფშორებში გაიტანეს და ახლა,

ამ უმსგავსობას აფინანსებენ რისი მომსწრენიც ვართ. ნაცვალდ იმისა, რომ ბოკერიები, უგულავები სოროებში იყვნენ ჩამძვრალი, რაც მათ ქვეყანას დამართეს, დგანან და ყელყეულაობენ.

ბიძინა ივანიშვილმა გადატრიალება მოახდინა და საქართველო ამ შავი ჭირისაგან რასაც „ნაცმოძრაობა“ ეწოდება გაათავისუფლა. სააკაშვილის დროს რასაც უდანაშაულო ადამიანებს უკეთებდნენ, ჩინგიზ-ხანიდან დაწყებული მურვან-ყრუთი დამთავრებული, არცერთ დამპყრობელს არ გაუკეთებია. ესენი, მხოლოდ, ფულზე ფიქრობენ. მავანს ჰგონია: ამ ხალხს მართლა მიშასი სწამთ. არის ხალხი, რომელიც კერპთთაყვანისმცემელია — ქვას აიღებს და კერპად გაიხდის. არ აინტერესებთ ეს ქვა რა ფუნქციის მატარებელია, უბრალოდ, მათი ღმერთია და მორჩა. ასე ჰყავთ სააკაშვილიც. დანარჩენი ვითომ მხარდამჭერები, ფულზე არიან გაყიდულნი. აი, ამ უბედურებაში გახვეულებს გვეახლა შარლ მიშელი და საკუთარი თავი კონსტიტუციაზე მაღლა დააყენა. განა, შეიძლება ასეთი რამ მოხდეს სახელმწიფოში, რომელსაც თავისუფალს, დამოუკიდებელს ვუწოდებთ?! ევროპის ელჩი, რომელიც მელიას ემეგობრება, რატომ უნდა აფათურებდეს ხელებს ქართველი ადამიანის სულში! საფრანგეთის ელჩი კოდალას რომ ჰგავს, რატომ ჰყოფს ჩვენს საქმეებში ცხვირს! საერთაშორისო კონვენციის თანახმად, მათ უფლება არ აქვთ, სხვა სახელმწიფოს საქმეებში ჩაერიონ. ესენი არათუ ერევიან, ჩვენს ქვეყანას მართავენ კიდეც. მე, პირველი ამერიკანისტი გახლდით. კიდეც დავბეჭდე სტატია — თავისუფალი ამერიკის ხმა, რაზეც ერთი ამბავი ატყდა. მეგონა, ამერიკიდან სინათლე, სიმართლე მოდიოდა. რა ხდება? — ასეთი „თავისუფალი“ ევროპელები გვკარნახობენ როგორ უნდა ვიცხოვროთ?!

აქვე, გეტყვით: ყოველთვის, დიდ პატივს ვცემდი ირაკლი ღარიბაშვილს. მან განაცხადა:

„ნაცები“ პოლიტიკური ძალა არ არის, არამედ ბანდიტები არიან და მათთან საუბარი არ შეიძლება. ქართული ოჯახი არის ქალი და კაცი, სხვა — მიუღებელია. და, რაც მთავარია ჩვენი ისტორია, განათლება დიდგორიდან იწყებაო. მან ასევე ჭკუა ასწავლა დასავლეთს და ღიად უთხრა: ჩვენ, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, ყველა შენიშვნას მივიღებთ, მაგრამ თავს არ დაგიხრითო. დიახ, პრემიერისთვის მთავარია მამული, ოჯახის სიყვარული, სამშობლოს ერთგულება. ასევე, დიდ პატივს ვცემ თეა წულუკიანს, რომელმაც გახარიას პირდაპირ უთხრა: ჩვენ, ახალგაზრდები ქართველებად უნდა გავზარდოთო. რასაც წულუკიანი დღევანდელი კულტურისთვის აკეთებს, აფერუმ, მის ვაჟკაცობას. პატივს ვცემ ირაკლი კობახიძესაც, რადგან იგი პრინციპული ადამიანია.

არც ნიჭიერება და განათლება გვაკლია, მაგრამ დღეს, დაღუპვის გზას ვადგავართ. განათლება სააკაშვილმა მოგვისპო. ლომაიამ ისეთი სისტემა შექმნა, სკოლაც გადააგვარა, უმაღლესი სასწავლებლებიც და მეცნიერებასაც გზა გადაუღობა. დღესაც, სკოლებში სწავლება ლომაიას შექმნილი პროგრამით ხორციელდება. ახლა, ვითომ, ხარისხის კომისია შექმნეს. სინამდვილეში, ეს გახლავთ კორუფციის კომისია. ღარიბაშვილმა ეს საკითხიც უნდა შეისწავლოს. მოდით, დავიცვათ ჩვენი ენა, მამული, სარწმუნოება და მაშინ მე, მაყვალა გონაშვილს ისეთი ამაღლებული პოეზია აქვს, რომ „რუსთაველის პრემია“ მიანიჭეს. პრემიის მინიჭება ცუდი არ არის, მაგრამ ხომ უნდა გეკუთვნოდეს? „რუსთაველის პრემია“ ქართველისთვის დიდი სიამაყეა. პრემიების მინიჭების კომისიას ვალერი ასათიანი თავმჯდომარეობს, რომელიც ღირსეული კაცია. მაგრამ ვინ არიან კომისიის წევრები, ეს, არ ვიცი. თუმცა, ვიცი რომ ეს ხალხი ვალერის არჩეული არ არის. უბედურება ისაა, რომ პრემიის გარეშე ისეთი ხალხი დატოვეს, ვინც მეტად იმსახურებს. ეს, უკვე, ჩვენი სულიერების გაღატაკებაა. მინდა, ქალბატონ თეა წულუკიანს მივმართო: თქვენ, ბევრს იბრძვით ქართული კულტურისთვის და ძალიან გთხოვთ, გადაარჩინეთ ქართული მწერლობა, დაუბრუნეთ ქართველ მწერლებს თავიანთი შენობა და იქ, ის ხალხი შეიყვანეთ ვისაც სათანადო ნიჭიც აქვს და სამშობლოს სიყვარულიც.

— ბატონო ელიზბარ, ბოლოს მინდა პრეზიდენტის ინიციატივაზე გკითხოთ: რას ფიქრობთ „ნაცებთან“ შერიგებაზე?

— კარგი აზრია, ქართველი ხალხის ეროვნული გაერთიანება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში „ნაცებთან“ ერთობა. ეს დაუშვებელია! როგორ შეიძლება მკვლელთან შერიგება, მათ რაზე უნდა ველაპარაკოთ?!

ყველას კარგად გვახსოვს რას სჩადიან და სჩადიოდნენ ნაცები, მათ შორის, ეს მშვენივრად უწყის დასავლეთმაც. რატომ უჭერენ ამ ძალას მხარს? — იმიტომ, რომ საქართველო დაინგრეს, განადგურდეს. მათ მხოლოდ ეს ღვთით ბოძებული ტერიტორია აინტერესებთ. ქართველი ხალხი ითმენს, ითმენს და მერე, ისე აფეთქდება, რომ არც შინაური მტერს დაინდობს და არც გარეულს. „ნაცები“ საქართველოდან, პოლიტიკიდან უნდა მოშორდნენ. მათ არ აქვთ ქართულ მიწაზე ფეხის დადგმის უფლება იმიტომ, რომ სიძულვილისა და ბოროტების მეტი, ქვეყნისთვის არაფერი გაუკეთებიათ.

თამარ ჯველიძე
555 23 28 24

რა განსხვავებაა გერმანელ და ქართველ ფაშისტებს შორის?

გერმანელმა ფაშისტებმა გერმანელი ერი განადიდეს, ქართველმა „ფაშისტებმა“ („ნაციონალებმა“) დაჰაუ და ოსვენციმი ქართველებსვე მოუწყვეს

მოგეხსენებათ, „უდანაშაულო“ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით დიდი „შუმოკია“ ატეხილი საქართველოში.

ამ სამარცხვინო, ამაზრზენ ყაყანს და გნიასს რომ ვუყურებ, ერთი რამ ძალიან მაკვირვებს და მაოცებს, სად არის ის ათიათასობით და ასიათასობით ადამიანი, რომლებზეც სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ რვა წლის განმავლობაში ძალადობდა?

ყველას და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც თქვენ სად ხართ, სამასიათასო პრობაციონერო, სააკაშვილის ფაშისტურ-კრიმინალურმა რეჟიმმა სასამართლოებში რომ გათრიათ, მერე კი პრობაციონერის სტატუსით აღჭურვილებს ყოველ კვირა რომ გაიძულებდათ, ხელმოწერით დაგედასტურებინათ, რომ „კოლონია საქართველოს“ ტერიტორია არ დაგიტოვებიათ.

დამნაშავე და მოძალადე სააკაშვილის უტიფარი და ურცხვი ქომაგები რომ ჩანან მხოლოდ საპროტესტო აქციებზე, საპროტესტო მიტინგებზე, თქვენ როდის გამოხვალთ გარეთ სამასიათასო, ოთხასიათასო, ხუთასიათასო ქართველო და თქვენ როდის გააპროტესტებთ, რომ ერთხელ უკვე დამცირებულებს და შეურაცხყოვილებს ხელახლა გამცირებენ და შეურაცხგყოფენ ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არავის დაუჩაგრიხართ, არავის უდევნიხართ, არავის უძალადია თქვენზე.

იცით, ამით რას ამბობენ ეს ნაცები?

რას ამბობენ და იმას, რომ თქვენ საერთოდ არ ყოფილხართ, თქვენ საერთოდ არ არსებობთ, თქვენ საერთოდ არ გიცხოვრიათ ამ ქვეყანაზე და, გამომდინარე აქედან, რადგან არ არსებობთ, არც თქვენს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები არსებობს.

სულო ცოდვილო და თქვენს არსებობაში ნაცებს კი არა, მეც მეპარება ხანდახან ეჭვი — თუ არსებობთ, რატომ არ ისმის თქვენი ხმა, თუ არსებობთ, რატომ არ ჩანხართ და რატომ არ გვენახვებით?



თქვენ მაინც სად ხართ, ღვაწლმოსილო ინტელიგენციავ, ერთი ხელის მოსმით რომ ჩაგრეცხათ უსინდისო და გათახსირებულმა საკაშვილმა და უფუნქციოდ, ულუკმაპუროდ დაგტოვათ.

ვიცი, ბევრი ვერ გადაურჩა ამ რეპრესიებს, მაგრამ ვინც გადარჩით, ისინი მაინც სად ხართ და რატომ არ ამბობთ, რა უბედურება დაგატეხათ თავს „ნაცმოძრაობამ“?

13 წელი გავიდა 2008 წლის აგვისტოს ომიდან.

ამ ცამეტი წლის განმავლობაში რატომ ვერ მოხერხდა, ერთად შეკრებილიყავით ის ადამიანები, ვინც ამ ომმა ყველაზე მეტად დაგაზარალათ და საკუთარ ქვეყანაში დევნილებად და ლტოლვილებად გაქციათ.

ვინ ვინ და, თქვენ ხომ ყველაზე კარგად იცით, რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების უგუნური, მოღალატეობრივი, ლაჩრული, უპასუხისმგებლო ქმედებების შედეგად როგორ დაიკარგა ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი, როგორ მიართვეს მტერს ხონჩით კოდორის ხეობა, ლიახვის ხეობა, უძველესი ქართული სოფლები, როგორ გამოიქცნენ ბრძოლის ველიდან, როგორ დატოვეს ბრძოლის ველზე უპატრონოდ ქართველი ჯარისკაცების ცხედრები და, რაც ყველაზე დიდი დანაშაულია — როგორ დაგტოვეს თქვენ, უიარაღო ადამიანები, მტრის პირისპირ, ბედის ანაბარა.

აი, ამის ჩამდენი არაკაცები დღეს ისევ ხელისუფლებაში აპირებენ მობრუნებას, თქვენ კი ისე დუმხართ, თითქოს ეს საშინელება თქვენ საერთოდ არ შეგხებიათ.

თქვენ დუმხართ, სამაგიეროდ, მთელი მსოფლიო შეძრეს ნაციონალებმა და მათმა მხარდამჭერებმა: გაუგონარი ამბავი ხდება — „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყნის მესამე პრეზიდენტი და მთავარსარდალი დაიჭირა და გლდანის ციხეში გამოამწყვდიაო.

რა მთავარსარდალი და რისი მთავარსარდალი — რომელ ომს და რომელ ბრძოლას უსარდლა ამ მშიშარა და ლაჩარმა კაცმა, ცხვირით რომ ხნავდა გორის მიწას და შიშისგან გონდაკარგული ჰალსტუხს რომ ჭამდა?

ამ „მთავარსარდალს“ ახლა 9 მილიონის ქურდობისთვის ასამართლებენ, თქვენ კი დუმხართ და არ მოითხოვთ, ის მკაცრად დაისაჯოს იმ ქმედებებისთვის, რასაც თქვენი და თქვენი ოჯახების სიმშვიდე და კეთილდღეობა შეეწირა, რასაც სამაჩაბლოს და კოდორის ხეობის დაკარგვა, ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის განადგურება მოჰყვა.

ძველ ათენში, დემოკრატიის აკვანში, ჯერ კიდევ ძვ.წ. 509 წელს, შემოიღეს ოსტრაკიზმი, ანუ კანონი იმ ადამიანთა გამოსავლენად, რომლებმაც საფრთხე შეუქმნეს სახელმწიფო უსაფრთხოებას. ათენელი მოქალაქეები თიხის ფირფიტებზე, ოსტრაკონებზე წერდნენ ასეთი ადამიანების სახელებს. ვისი სახელიც ყველაზე ხშირად განმეორდებოდა, მას მოიკვეთდნენ და ათენიდან აძევებდნენ.

რადგან ქართული მართლმსაჯულება ვერ მოერია ნაციონალთა ავკაცობას, იქნებ, თიხის ფირფიტები მაინც ჩამოურიგონ საქართველოს მოქალაქეებს და ამით მაინც ვცადოთ ნაძირლებისა და ავაზაკების პოლიტიკურ ასპარეზზე მუდმივი პარპაშის აღკვეთა.

„ნაცმოძრაობის“ დროს, არასრული მონაცემებით, 50 000-მდე ადამიანი მოხვდა ციხეში, რომელთა უმრავლესობამ ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოიარა, თუმცა მხოლოდ ცალკეული ადამიანები თუ ლაპარაკობენ ამის შესახებ. ერთად შეკრებილი, ერთად გაერთიანებული, ერთ მრისხანე პროტესტად შეკრებილი მათი ხმა ჯერ არ გვსმენია, ისე, როგორც არ გვსმენია ერთად შეკრებილი ხმა იმ ადამიანებისა, რომლებიც „ნაცმოძრაობამ“ დააყაჩაღა, ქონება წაართვა, ბიზნესი გაუნადგურა.

●

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი ხანი იყო გასული, წინა საუკუნის 70-იან, 80-იან წლებში საბჭოთა კავშირში 37-იანი წლების რეპრესირებულთა უამრავი ორგანიზაცია არსებობდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთივე ორგანიზაციები არსებობდა (ნაწილი დღემდე აგრძელებს არსებობას) ევროპულ სახელმწიფოებშიც — გერმანიაში, იტალიაში საფრანგეთში, ესპანეთში, სხვაგან და სხვაგან.

ასეთი ორგანიზაციები ადამიანებს ახსენებენ, თუ რა საშინელებაა ძალადობაზე დაფუძნებული ძალაუფლება, მისი სასტიკი, არაადამიანური და უმოწყალო ბუნება, რომელიც სინამდვილეში მაშინაც კი ანგრევს, როცა ვითომცდა რაღაცას აშენებს.

ადამიანების გაუბედურების ხარჯზე აშენებულ სახელმწიფოში, გარდა სინდისგარეცხილი არამზადებისა, ვერავინ ვერ იქნება ბედნიერი.

ასე რომ, საკაშვილისა და ნაციონალების უტიფარი ლაყბობა, თითქოს ისინი ახალი ყაიდის ქართულ სახელმწიფოს აშენებდნენ, სრული ფაეისევლობა და დემაგოგიაა.

სახელმწიფოს კი არა, ისინი აშენებდნენ უმკაცრესი რეჟიმის საკონცენტრაციო ბანაკს, საიდანაც მილიონებს და მილიარდებს ქაფავდნენ.

იმას, რაც 2003–2012 წლებში საქართველოში ხდებოდა, ქართულ ფაშიზმს უწოდებენ, თუმცა ეს არ არის მთლად ზუსტი ტერმინი.

ზოგადად რომ ვთქვათ, მიზეზთა და მიზეზთა გამო, დროთა განმავლობაში ფაშიზმზე, როგორც იდეოლოგიაზე, არასწორი ინტერპრეტაცია და მცდარი აღქმა და განმარტება ჩამოყალიბდა და ის გაიგივდა მხოლოდდამხოლოდ სისასტიკესთან, ანტიჰუმანურ, ანტიადამიანურ მოვლენასთან, რაც გერმანელი ფაშისტების მიერ ჩადენილ შემზარავ დანაშაულებთან არის დაკავშირებული.

სინამდვილეში, ფაშიზმი ის იდეოლოგიაა, რომელიც ყველაზე მაღლა სახელმწიფოსა და ნაციის ინტერესებს აყენებს, სადაც ყველაფერი სახელმწიფოსა და ერის წინსვლისა და განვითარებისკენ უნდა იყოს მიმართული.

ხომ გახსოვთ გერმანელი ფაშისტების დევიზი: დოიჩლანდ, დოიჩლანდ, უბერ ალეს! (გერმანია, გერმანია, ყველაზე მაღლა!).

ნაციონალები, ანუ ქართველი ფაშისტები, მათი ფიურერის, საკაშვილის, ხელმძღვანელობით, პირიქით იქცეოდნენ და ოსვენციმსა და დახაუს ქართველებსვე უწყობდნენ.

„ნაცმოძრაობის“ დროს თავიანთ ქვეყანაში, საქართველოში, ქართველები მოსახლეობის ყველაზე დაუცველი, ყველაზე უფრო ადვილად დასაჩაგრი და ადვილად ხელგამოსაკრავი ნაწილი იყო, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ აკნინებდა, შეურაცხყოფდა, აჩმორებდა, ციხეებში ყრიდა, აწამებდა, აყაჩალებდა, საერთაშორისო ასპარეზზე ჩამორჩენილ, ნახევრად ველურ ერად წარმოაჩენდა, რომელსაც მხოლოდ მათრახის და როზგის ენა ესმის.

გერმანელი ფაშისტები გერმანელ ერს წმინდა სისხლის ყველაზე ცივილიზებულ ერად წარმოაჩენდნენ, ქართველი ფაშისტები, როგორც ვთქვით, საპირისპიროდ იქცეოდნენ.

ნაციონალები ფაშისტები რომ ყოფილიყვნენ, რა გვიჭირდა? ფაშისტები კი არა, ესენი ჩვეულებრივი კრიმინალები და ბანდიტები არიან, რომლებსაც ასევე კრიმინალი და ბანდიტი სააკაშვილი უდგათ სათავეში.

ეს არის სიმართლე, რომლის თქმა ამ ცხრა წლის განმავლობაში ვერა და ვერ მოხერხდა და ვერც მოხერხდება, სანამ „ნაცმოძრაობის“ დროს რეპრესირებული ადამიანები ერთ დიდ ორგანიზაციად არ გაერთიანდებიან და იმ კრიმინალური სისტემის გასამართლებას და იმ პოლიტიკური ძალის აკრძალვას არ მოითხოვენ, რომელმაც ეს სისტემა შექმნა. „ნაცმოძრაობის“ გადაკეთება, მისი გაკეთილშობილება, მისთვის ცოდვების ჩამორეცხვა შეუძლებელია.

მას ისეთი დანაშაულები აქვს ჩადენილი, რაც დროის ხანდაზმულობას არ ექვემდებარება.

სხვა გამოსავალი არ არსებობს — ქართული ნიურნბერგის პროცესი უნდა შედგეს და ამ პროცესზე მთავარი ბრალმდებლები „ნაცმოძრაობის“ დროს რეპრესირებული ადამიანები უნდა იყვნენ.

იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება, თავმოყვარე ერს ვერ გაუბედავდნენ.

ჰოდა, ჩვენც არ გავაბედვინოთ!

ვახტანგ ხარჩილავა

რატომ გადაჭყლიტა ღობე ქალბატონმა პრეზიდენტმა და დალოცვის და გამხნევების ნაცვლად რატომ დაგვწყევლა ახალ წელს?

როგორ ჩამთავრდა 2021 წელი? უფრო სწორად, როგორ დაიწრიტა იმ წლის ბოლო წუთები? ცუდად, ჩემო გოზინაყო ხალხო, ცუდად!

ისევ 31 დეკემბრის ღამეა. ჯერ საყოველთაო ბათქი არ დაწყებულა, კანტიკუნტად ისვრიან. თორმეტს დაახლოებით ათი აკლია. გამოდის ტელევიზორში საქართველოს პრეზიდენტი და მოულოდნელად იწყებს – რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

დიახ, ზუსტად ასე... მან სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ილია ჭავჭავაძის სიტყვები, სამწუხაროდ, ვერაფრით გაგახარებთო და განაგრძო:

„რა გითხრათ, რით გაგახაროთ? რა მოვულოცოთ ჩვენს თავს?“ – კითხულობდა 124 წლის წინ ილია და დღესაც მინდება იგივე კითხვის დასმა. ილიასი არ იყოს, ქვეყანა დგას უზარმაზარი თხრილის წინ და საკმაოა, ხელი გვკრან და გადავიჩეხებით, ოღონდ ილიას წუხილი უცოდინარობა, შრომის ნაკლებობა, მიზნის დაკარგვა იყო, ჩვენ კი დღეს უარესი გვჭირს, ერთმანეთი დავკარგეთ, ერთმანეთს ვეჯიკავებით ამ თხრილისკენ, მტერიც აღარ გვჭირდება, რომ გვკრას ხელი, მის საქმეს ჩვენვე ვაკეთებთ და ერთმანეთს ვკრავთ ხელს“.

თქვენი არ ვიცი და... მე ახლაც უსიამოდ ჩამესმის ქალბატონ პრეზიდენტის სიტყვები: რა მივულოცოთ ჩვენს თავსო? 124 წლის წინ ილია რომ კითხულობდა, იგივე კითხვის დასმა მინდებაო... უზარმაზარი თხრილის წინ ვდგავართ, საკმაოა, ხელი გვკრან და ეგრევე გადავიჩეხებითო. თუ ილია უცოდინარობაზე, შრომის ნაკლებობასა და მიზნის დაკარგვაზე წუხდა, ახლა უარესი გვჭირს, ერთმანეთი დავკარგეთ, ერთმანეთს ვეჯიკავებითო.

რაც ქალბატონმა ზურაბიშვილმა თქვა, ეს სიტყვები მესმის 1990-იანი წლებიდან მოყოლებული. წავიდნენ კომუნისტები, მოვიდნენ ეროვნულები, ანუ ე.წ. არაფორმალები და გამოაცხადეს, გვიყვარდეს ერთმანეთიო... ოღონდ, რაიკომის მდივნებს, კომბინატორებს, მაქინატორებსა და მექრთამეებს კაბინეტები უნდა ავუჭედოთო. კაცო, ეგენი მაინც მიდიან, რაღა აჭედვა უნდათ-მეთქი? ჰო, მაგრამ პანჩური ხომ უნდა მივაყოლოთო? მიაყოლეს და სიტუაცია ააქოთეს.

კომუნისტები რომ ბულბულებივით არ გაფრინდებოდნენ თბილ ქვეყნებში, თავიდანვე ჩანდა. შეუძვრნენ იქით ეროვნულ ხელისუფლებას, აურიეს შიგნიდან სიტუაცია პირველ პრეზიდენტს, ისარგებლეს ამით ყვავ-ყორნებმა, ათასი ჯურის თახსირებმა და ჩამოიყვანეს ბელადად მამალი კომუნისტი ედუარდ შევარდნაძე. ჩამოიყვანეს რა, იმან დააფინანსა, რუსები მოიხმარა, აქაურ მოღალატეებს თანამდებობები ჩამოურიგა და მოხდა ის, რაც მოხდა, მეტს აღარ გავაგრძელებ, ეგ ამბები ჩემზე უკეთესად იცით. ოღონდ ამ საქმეში ცინიზმის არსი ის იყო, რომ ისევ შერიგებასა და სიყვარულზე დაიწყეს ლაპარაკი – ჩვენ ახლა უფსკრულის პირას ვდგავართ, ხელის ერთი კვრაღა გვინდაო, თუ არ შევრიგდით, თუ ერთმანეთი არ შევიყვარეთ, დავიღუპებითო. იცით, ამაზე ლაპარაკი როდის წამოიწყეს? აი, კარგად რომ გაძღნენ, კაი სასახლეები რომ აიშენეს, მილიონები რომ იშოვეს და თავიანთი მკვდრები მთაწმინდასა თუ დიდუბის პანთეონში რომ დაასაფლავეს. ჰო, ეხლა უნდა შევრიგდეთ, ეროვნულ შეთანხმებას უნდა მივაღწიოთო. ვერც მაშინ გავიგეთ, ვინ ვისთან უნდა შერიგებულიყო, მთელი საქართველო იავარქმნეს, სამეგრელოს ცეცხლით და მახვილით გადაუარეს, აფხაზეთი რუსებს გადაულოცეს და იმის ნაცვლად, რომ დამნაშავეები დასჯილიყვნენ, მოდით, ერთმანეთს ჩავეხუტოთო. გაიგონეთ? რუსთაველი რომ გადავბუგეთ, ხალხი რომ ჩავხოცეთ, პრეზიდენტი რომ გავაძევეთ და მივარდნილ სოფელში ჩავკალით, ეს არაფერი, ეს უნდა დავივიწყოთ, სხვა გზა არ გვაქვს, ქვეყანა ხელიდან გვეცლებაო. არც ქვეყანა გვეცლებოდა ხელიდან და არც არაფერი, მოიგონეს, ხალხი გააცუცურაკეს... ამასობაში კი, რაც ბანკებში ფული გვქონდა, გამოიტანეს, თვითმფრინავში ჩატვირთეს, მოსკოვში გადააფრინეს, დოლარზე გადაახურდავეს, ჩამოიტანეს და გაიყვეს. ჰმ... აი, ეხლა კი ნამდვილად უნდა შევრიგდეთ, ყველაფერი კარგად იქნება, ამ ფულს სახელმწიფო ვალად აიღებს, ჯერ არა, მაგრამ როცა იქნება, დაგიბრუნებთო. არც ამაზე გავაგრძელებ სიტყვას, ჩემზე უკეთესად იცით, რაც მოხდა!

ამათ, ამ ნახიშტარმა კომუნისტებმა თავადვე გაზარდეს „კომსომოლათა“ ბანდა მიხეილ სააკაშვილისა და სხვა ნაძირალათა მეთაურობით. შევარდნაძე თავადვე აცხადებდა, ესენი მეტად საშიშნი არიანო, მაგრამ არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ ავანტიურისტები საკვანძო თანამედბობებიდან მოეშორებინა, პირიქით, აწინაურებდა და აწინაურებდა. ერთ დღესაც ქართველი ხალხი გააცუცურაკეს, რევოლუცია მოაწყეს, უბადრუკი სცენარი გაათამაშეს, მოსკოვიდან სერგეი ივანოვი ჩამოვიდა, სიტუაცია დაალაგებინეს, თან იძახდნენ, პროდასავლურები გახლავართო. ვითომც არაფერი, ვითომც სერგეი ივანოვი პუტინის გამოგზავნილი კაცი არ იყო, ვითომ შევარდნაძე სახლში მაგან არ გაუშვა და ასლან აბაშიძე კიდევ რუსეთის დედაქალაქში არ წაიყვანა. სიტყვა გამიგრძელდა... კომუნისტები კიდევ ერთხელ წავიდნენ, მათი გამოზრდილები მოვიდნენ, ქვეყანა ააწიოკეს, დედა უტირეს, ვინც არ დაემორჩილა, სული ამოხადეს, აწამეს, სიცოცხლეს გამოასალმეს და მერე თქვეს, მოდით, ეხლა შევრიგდეთო.

2012 წლამდე ვიშავდღევეთ, შერიგება კი არა, სულ „დუბინკებით“ ჩაგვილურჯეს გვერდები (იოლად ვამბობ, ზოგი მაღაზიის თავზე შემოდეს). მოვიდა ბიძინა ივანიშვილი და თქვა: მორჩა, დამთავრდა უკეთურთა მოდგმის ბაირამობა, ქართველმა ხალხმაც უნდა ამოისუნთქოსო. მან თავისი გასაკეთებელი გააკეთა – ამათი ბოგინი დაასრულა, ქვეყანას ანგარიშსწორება და სისხლისღვრა ააცილა. ავად თუ კარგად, მოვედით დღემდე, ათი წლის განმავლობაში არც სამოქალაქო დაპირისპირება ყოფილა და არც რუსული აგრესია. რასაც „ნაციონალები“ და მათთან გათანაბრებული პირები აკეთებდნენ და აკეთებენ, ეს გახლავთ წმინდა წყლის მავნებლობა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მოკლედ, კუდით წაჭერილმა სააკაშვილმა განაცხადა, თუ არ შევრიგდებით და ეროვნულ თანხმობას არ მივაღწევთ, ამ ხელისუფლებას დავამხობო. ამაზე ჩვენც ბევრი ვიცინეთ და ხელისუფლების წევრებსაც მუცლები ხელით ეჭირათ, მაგრამ ამ დროს ქვეყანაში გამოჩნდა ადამიანი, რომელიც, თურმე სერიოზულად ჩაფიქრებულა ყოფილი მთავარსარდალის ულტიმატუმზე და ქალი, რომელიც კატეგორიულად იძახდა, არა და არასოდესო, ე.წ. კამპანია წამოიწყო, უნდა შევრიგდეთო, თავიდან 0001%-იანი პარტიების წარმომადგენლები მიიწვია, გრძელი სადღეგრძელო თქვა „თ“-ების თანხლებით, მოეფერა, ლამის ხელები დაუკოცნა, ბურჯანაძეს გაუღიმა, ლაკა ხოშტარიას გაუცინა, „გირჩელებს“ ხელი დაუქნია, ეკა ბესელიას თეთრი „ვალინკები“ მოუწონა... შემდეგ თავის ფართე კაბინეტში (რომლის გამოც მაგრად ვიბრძოლეთ) ვიღაცები დაპატიჟა, ამაზე იტყვიან ხოლმე კახეთში, საით კუდი იღლიაო? ანუ სად კუდი, სად კიდევ იღლიაო? ანუ სად ერეკლე, სად პაპაჩემის ყურებიანი ქუდიო? სხვათა შორის, ქართულ საანდაზო ლიტერატურაში მრავლად იძებნება მსგავსი შეგონებები, მაგრამ ჩვენს პრეზიდენტს არც ერთი არ გაახსენდა, რაც საკაშვილმა დაიძახა, უნდა შევრიგდეთო, მას მერე ესეც ატაცებულია (ასე იტყვიან ხოლმე კახეთში), გინდათ თუ არა, ეროვნულ თანხმობას უნდა მივაღწიოთ, თორემ ჩვენ უფსკრულის პირას ვდგავართ, ხელის კვრაღა გვინდა, რა გითხრათ, რით გაგახაროთო? იმას ვამბობდი... თავის ფართე კაბინეტში ვიღაცები შეჰყარა, ზოგი ადვოკატი ყოფილა, ზოგი არასამთავრობოს წარმომადგენელი, ზოგიც საერთოდ არაფერი... იმათ ელაპარაკა ეროვნულ თანხმობაზე. გამოსულებს ჟურნალისტები ხვდებოდნენ და ეკითხებოდნენ, რაზე ილაპარაკეთო? უი, ყველაფერზე, ამ ქვეყნის მომავალსა და პრიორიტეტებზე, რაც მთავარია, შერიგებაზეო. ვის ურიგდებიან, რაზე ურიგდებიან, რას ურიგდებიან, არავინ იცის.

ზემოთ რომ ქალბატონ პრეზიდენტის გამოსვლის ტექსტი გაგაცანით, სულ ეს არ იყო, კიდევ დარჩა, ეს ბოლოსთვის შემოვინახე... აი, ნახეთ:

„უკიდეგანო შური და ბოღმა, სიძულვილი და დაპირისპირება, მოკლევადიანი გეგმები და კიდევ უფრო მოკლე მჭვრეტელი ხედვა და სამაგიეროდ გრძელვადიანი და უსაფუძვლო ამბიციები – მთელი ძალისხმევა ჩემი ამ დღეებში და რასაც გავაგრძელებ მომავალ წელს და სანამ ამ თანამდებობაზე ვიქნები, რამეთუ ამ თანამდებობაზე მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის ვარ, მიმართულია იმისკენ, რომ როგორმე ერთმანეთთან მისასვლელი გზა, თუ გზები მოვნახოთ, მოვახერხოთ ის, რომ მოსმენით და საუბრით და არა შულლით მოვახერხოთ ამ ქვეყნის გადარჩენა. ჩემი ამოცანაც ესაა. ქვეყნის ხვალინდელი დღისთვის მოვნახოთ ეროვნული თანხმობის გზა. არა ისე, როგორც ზოგი ავრცელებს, რომ ეს ვითომ კეთდება ერთი რომელიმე ადამიანის გათავისუფლებისთვის, არა. არა, იმისთვის, რომ ვიღაცისთვის და ვიღაცასთან შერიგება მე მოვახერხო, არა. ეს იმისთვის კეთდება, რომ ჩვენ შევძლოთ ელემენტარული მოსმენა და ერთმანეთთან შევთანხმდეთ იმ რაღაცებზე, რაც ამ ქვეყანას ააშენებს, რაც ამ ქვეყანას არა თუ გადაარჩენს, მაგრამ მოგვცემს საშუალებას, რომ ჩვენ არასოდეს, მომავალ წელს და შემდეგ წლებს აღარ ვთქვათ, „რით გაგახაროთ“?

ამ თანამდებობაზე მხოლოდ იმისთვის ვარ, როგორმე ერთმანეთთან მისასვლელი გზები მოვნახოთო. ვისთან უნდა მოვნახოთ მისასვლელი გზები, დამნაშავეებთან? ყველას ყველაფერი უნდა ვაპატიოთ და გულში ჩავიხუტოთ? ასე დამყარდება ეროვნული თანხმობა? როგორც ჩანს, ჩვენს ევროპიელ ქალბატონს აღარ ახსოვს, რომ ასე არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება. რა ჩახუტება, რის თანხმობა, რომელი სიყვარული და თავის გაგიჟება? ყველამ ნება იბოძოს, ყველამ თავისი საქმე აკეთოს, თუ ვინმე დააშავებს, პასუხი აგოს. სულაც არ მჭირდება, პრეზიდენტმა თავისი წინის წინა მორბედი შეიწყალოს მხოლოდ იმიტომ, რომ ადეკვატურად ვერ ფსამს. სულაც არ მჭირდება იმ ადამიანთან შერიგება, რომელსაც შიშის გამო ფაღარათი შეჰყრია და აქეთ ბრძანებებს იძლევა.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩვენმა ძლივს გაპრეზიდენტებულმა ქალბატონმა ახალი წლის ღამეს გვლანძღა, გვაფურთხა, უფსკრულის პირას დაგვაყენა, სიღარიბეში ვყრივართ, სული გვძვრება, არაფრის გამკეთებლები არ ვართ, შური და ბოღმა გვახრჩობსო. თუ არ შევრიგდებით, ასე დავრჩებითო. ნიკა გვარამიამ დაწერა მეორე დღეს, ყბაჩამოვარდნილი ვუსმენდი სალომეს, ძაან მაგარი ქალი ყოფილაო. სრულიად სანაცვეთისგანაც დაიმსახურა აპლოდისმენტები. იმ ადამიანებისგან დაიმსახურა, არჩევნების პერიოდში სამშობლოს მოღალატედ რომ შერაცხეს და მის გამო ლამის ჩაგვქოლეს. ერთხელ დავწერე და ახლა გავიმეორებ, მე პირადად საკმაო წვლილი მაქვს შეტანილი მის გაპრეზიდენტებაში, პირველი ტური ლამის რომ წააგო, საკუთარი ინიციატივით წავედი წაგებულ სიღნაღში და მოვიგეთ.

ვიმეორებ... ეს ქალი საჩვენოს აღარ არი, თქვენი არ ვიცი, მე კი მეჩვენება, თითქოს ღობე გადაჭყლიტა და დაუკრეფავში გადავიდა. იმ დაუკრეფავში კიდევ რას გააფუჭებს, არავინ იცის.

ჰო, კიდევ ისა... ახალ წელს პრეზიდენტმა საკუთარი ხალხი კი არ უნდა დაწყევლოს, უნდა დალოცოს და იმედი ჩაუსახოს. ასეა ეს!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

„კავკასიური ცარცის წრე“ ქართული პოლიტიკური თეატრის სცენაზე

გვესაუბრება
დამოუკიდებელი
უფლებადამცველი
დიმიტრი ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმიტრი, საზღვრებს მიღმა, სახელმწიფოებს შორის მწვავე, დაძაბული ურთიერთობებია, რაც ირიბად, საქართველოს აწმყოსა და პოლიტიკურ მომავალთან არის დაკავშირებული. რუსეთი ნატოს გაფართოებას აპროტესტებს და იმუქრება: მოქმედებაზე გადავალო. ბირთვული ომის საფრთხეზეც ალაპარაკდნენ. ამ გადმოსახედიდან, მოვლენებს, როგორ შეაფასებთ?

— რაც რუსეთის გარშემო ხდება, იგივე, ყაზახეთის მოვლენები, ე.წ. იმუნური პასუხია, მეორე მხრივ კი, ნიუტონის მესამე კანონით გათვალისწინებული აქსიომატური ფაქტი, როცა ქმედება უკუქმედებას უდრის. ყველაფერი, ბევრად უფრო ადრე, 90-იანი წლების მიწურულს დაიწყო, როცა რუსეთმა მსოფლიოში თავისი გეო-პოლიტიკური ინტერესის აღდგენა შეძლო. 1998 წლიდან, მას მერე, რაც რუსეთში პრემიერად ევგენი პრიმაკოვი დაინიშნა, ნატოს შეიარაღებულმა ძალებმა კი სერბეთის დედაქალაქი ბელგრადი დაბომბეს, რაზეც ერთგვარი პროტესტი გამოითქვა, სწორედ ეს გახლავთ რუსეთში ახალი ეპოქის, წინააღმდეგობრივი პოლიტიკის დაწყების ათვლის წერტილი. ნატოს გაფართოება სამი სახელმწიფოს — უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს გაწევრიანებით უნდა მომხდარიყო. აღნიშნული პროცესი 2006 წელს დაიწყო. 2011 წლის ჩათვლით სამოქმედო გეგმის შემუშავება და საშინაო დავალებების შესრულება მიმდინარეობდა. რასაც დღეს ვხედავთ, ეს გახლავთ აღმოსავლეთპარტნიორობის ფარგლებში გაწეული საბოლოო შედეგი, რასაც დასავლეთი როგორც მოსავალს ისე იღებს. დიახ, უკრაინასა და მოლდოვაში დასავლეთმა შეძლო მისთვის სასარგებლო მარიონეტული რეჟიმების შექმნა, თუმცა მოვლენები სასურველი სცენარით ვერ წარიმართა. ამ შემთხვევაში, რუსეთმა მდგრადი იმუნიტეტი გამოავლინა. მისი პასუხი დასავლეთისთვის ბევრად რთული წარმოსადგენი იყო, ვიდრე ეს ანალიტიკურ სტატიებში შეგვეძლო ამოგვეკითხა. სახუმარო საქმე როდია, რომ მთელი საზღვრის პერიმეტრის დისლოცირება 75 ათასმა მეომარმა მოახდინა. აქ, სახმელეთო შეიარაღებული ძალების უდიდესი პოტენციალია თავმოყრილი. აღარაფერს ვამბობ, სრულ მზადყოფნაში მოყვანილ ბირთვულ ტრიადაზე — წყალქვეშა ნავებზე, სარაკეტო დივიზიონებსა და სახმელეთო ძალებზე. ასევე, რუსეთმა ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანა შეასრულა, გეო-პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, კავკასიის რეგიონშიც, როდესაც საკუთარი ინტერესები გამოავლინა ყარაბაღთან მიმართებით და იქ, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შექმნილი ბუფერით გაბატონდა. ამის მერე, რუსეთმა, ოდეკაბეს საფარქვეშ, ყაზახეთში აქტიური ნაბიჯები გადადგა. სწორედ, ახლა, ჩვენი ინტერვიუს მსვლელობისას, რუსეთის საჰაერო ძალების გამოყენებით ყაზახეთის რამდენიმე ქალაქში პირადი შემადგენლობა შეჰყავთ. ეს, ერთგვარი, ცეცხლოვანი რკალია, რომელიც რუსეთს გარს ევლება. რუსეთის ფედერაციაზე ამდენს იმიტომ ვსაუბრობ, რომ ეს გახლავთ, დასავლეთის მხრიდან, პოსტ.საბჭოური სივრცის სრული ოკუპაციის მცდელობა. ანუ, მცდელობა, გამონაკლისის გარეშე, ჩაითრიონ შუააზიის ყველა სახელმწიფო ყოფილი პოსტ.საბჭოური სივრციდან. როცა შუაზიაზე და ყაზახეთის მოვლენებზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რა მოხდა ცოტა ხნის წინ ავღანეთში, სადაც მოულოდნელად 1994 წელს დაწყებული აისაფის პროგრამა შეწყდა. ისეთი შეგრძნება დარჩა, თითქოს, ამერიკელები

გაიქცნენ და თავს უშველეს. სინამდვილეში, ასე არ ყოფილა. ეს გაქცევის იმიტაცია უფრო იყო. ანგლოსაქსური პოლიტიკა გამოირჩევა თავისი თანმიმდევრულობითა და აგრესიითაც. ამიტომ, ისინი ასე მარტივად კონკრეტული დისლოკაციის ადგილიდან არ გარბიან, თანაც მაშინ, როცა ავღანეთში ე.წ. ანტიტერორისტულ მსოფლიო სპეც.ოპერაციში მილიარდებია დახარჯული. ამ მისიაში მონაწილეობას საქართველოც იღებდა. სამწუხაროდ, 35 სამხედრო დაგვეღუპა. და უცებ, აშშ-მ თალიბანის გამოჩენისთანავე ქვეყანა შუა საუკუნეებში ჩარჩენილი მენტალიტეტის მქონე ადამიანებს დაუტოვა, რომელთაც სახელმწიფოს მართვის თანამედროვე მოდელებზე წარმოდგენაც კი არ უნდათ რომ ჰქონდეთ. ყოველივემ ავღანეთის ეკონომიკაზე ლოგიკური ასახვა ჰპოვა. მან (ეკონომიკამ), ფაქტობრივად, სული დალია. ეს ქვეყანა თვითკმარი საზოგადოების იმედადღა დარჩა, სადაც ჰუმანიტარული კრიზისით გამოწვეული აგონია ყოველდღიურად ძლიერდება. ეს არის დენთით სავსე კასრი, რომელსაც ერთი ნაპერწკალი სჭირდება, რათა მან მთელს რეგიონში შეუქცევადი პროცესები გამოიწვიოს. ყაზახეთის მოვლენებიც, ირიბად, სწორედ ამ პროცესთან არის დაკავშირებული. 10–12 იანვარს აშშ-სა და რუსეთს შორის სატელეფონო მოლაპარაკებები უნდა გაიმართოს, რაც სავაჭრო დახლს ემსგავსება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იქნება რუსეთის ახლო ბუფერში არსებული ქვეყნების ნატოში ინტეგრირების პროცესის შეწყვეტა. ბუნებრივია, გასაგები ხდება რატომ დაინთო ასე სწრაფად ცეცხლი ყაზახეთში. შეიძლება ითქვას, რომ ახლა, რუსეთს ცეცხლი ქვემოდან შეუნთეს. მიუხედავად ამისა, რუსეთი, თავისი შეიარაღებული ძალებით, უკვე, ყაზახეთშია. მოგეხსენებათ, იგი სადაც შედის, იქედან ძალიან რთულად ან საერთოდ არ გამოდის. ეს ყველაფერი შეიძლება ასე შეფასდეს: ოდეკაბეს ძალების გამოყენებით, პროვოკაციული ქმედებებით გამოწვეული დესტაბილიზაციის შედეგების აქტიური ჩაქრობა ხორციელდება. რუსეთის ფედერაციის მხრიდან პროვოკაციას ერთადერთი დანიშნულება ჰქონდა — მის საზღვრებთან ახალი დესტაბილიზაციის ცხელი კერა შექმნილიყო. მოკლედ, საქმე გვაქვს ანგლოსაქსური გეოპოლიტიკის შტურმთან ევრაზიული სივრცის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გეოგრაფიული არეალის წინააღმდეგ, რასაც რუსეთის ფედერაციის ევროპული ნაწილი მოიცავს. ეს, ასე არ დამთავრდება. როგორც იცით, უკვე, გაკეთდა განცხადება: თუ ყველა ამ კრიზისის ფონზე, რუსეთი შეეცდება უკრაინაში შეიჭრას, ისეთ გადამჭრელ ზომებს მივიღებთ, რაც რუსეთის ეკონომიკისთვის დამანგრეველი იქნებაო. როგორც ჩანს, ესკალაცია გაგრძელდება. მოკლედ, ყაზახეთში მიმდინარე პროცესები გვაჩვენებს, რომ 10–12 იანვარს დაგეგმილი მოლაპარაკებები სახეცვლილი იქნება. თუმცა, უმთავრესი რაც არის — ნატომ უარი თქვას აღმოსავლეთით გაფართოებაზე, ასევე, საქართველოს, უკრაინის, ბელორუსის ინტეგრირებაზე, ეს საკითხი დღის წესრიგში დარჩება. ჩვენთვის კარგად ცნობილი მოვლენების გამო, უკრაინის სუვერენიტეტს შესაძლოა საფრთხე დაემუქროს. მოლდოვეთში კი, მშვიდობიანი რევოლუცია განხორციელდა და პირველ პირად პროდასავლელი მაია სანდუ მოგვევლინა. თუმცა, მოლდოვა რუსეთს მაინც მიბმულია. რაც შეეხება საქართველოს, აქ, უნიათო

მდგომარეობაა. საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს, მაგრამ ამის უკუპროპორციულად გვაქვს საოცრად მზარდი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები. თანხა მილიარდ 400 მილიონს აჭარბებს და უფრო მაღალ ნიშნულზეა, ვიდრე კონფლიქტამდე იყო. მაგალითად, საუბარია სოფლის მეურნეობაში რუსეთიდან მიღებულ იმპორტზე, 95% ხორბლეულსა და მარცვლეულზე. ასევე, 67% ალკოჰოლური სასმელების ექსპორტზე და ისეთი სტრატეგიული რესურსის იმპორტზე, როგორიც გახლავთ ხე-ტყე და მეტალი. შესაბამისად, ეს ურთერთობები კიდევ უფრო გაძლიერდება. ადრე თუ გვიან, დღის წესრიგში წინადიპლომატიური რესურსის პლატფორმის შექმნის აუცილებლობა დადგება. აქვე, აღსანიშნავია, რომ პრემიერმა ღარიბაშვილმა ბოლო დროს საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთა. კერძოდ, მან აშშ-ს საელჩოდან და დეპარტამენტიდან გამოთქმულ მჭახე მოსაზრებებს ადეკვატური პასუხი გასცა. დიახ, ამერიკელების მხრიდან გაწნულ სილას უკურეაქცია მოჰყვა და ეს კიდევ უფრო გაძლიერდება. ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ღიად ითქვა: აშშ-ს შეფასებას მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით კატეგორიულად არ ეთანხმებიან. ეს ამერიკისთვის გამოწვევაა, რომელიც კოლექტიური დასავლეთის კონტექსტში საგარეო პოლიტიკური კურსის მდგრადობასთან დაკავშირებით ეჭვიანობს. ვხედავთ, რომ ყაზახეთში რუსეთის ძალიან აქტიური მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელების გზით, ჩვენს ქვეყანასთან მიმართებით იქმნება განსაკუთრებული მოლოდინი — ხომ არ აპირებს საქართველო რეგიონალური თანამშრომლობის პლატფორმაში მონაწილეობის მიღებას. მივადექით მთავარ საკითხს, რაც საქართველოს კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს შეიძლება ეხებოდეს. ჯერჯერობით, ამაზე მედია დუმს. ახლა, „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან ექსკლუზიურად ვისაუბრებ კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე. 2017 წელს, დასავლეთის ზეწოლით, საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის ძალითაც საქართველოს ისტორიული არჩევანი და მთავარი პოლიტიკური მიზანი, თურმე, ევროატლანტიკური სივრცე და მისდამი სწრაფვა ყოფილა. ამ საკითხზე კონსტიტუციონალისტები ინტენსიურად მსჯელობენ, ვინაიდან მსგავსი ტიპის გარდამავალი პოლიტიკური ტენდენციის ქვეყნის ძირითად დოკუმენტში არსებობა პირდაპირ ბლოკირებას იწვევს იმისას, რომ ოდესმე, ეს საკითხი, თუნდაც, რეფერენდუმის გზით გადაიხედოს. დიახ, კონსტიტუციაშია ასახული აღნიშნული საკითხი შესაძლებლობას გვისპობს პრიორიტეტები იმ ორგანული ინტერესიდან გამომდინარე ავირჩიოთ, რაც საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს. თუ გუშინ მნიშვნელოვანი იყო არჩევანი ნატოსა და ევროკავშირზე, დღეს შეიძლება ბევრად მეტს ნიშნავდეს მყარი ხიდის როლის შესრულება ორ გეოპოლიტიკურ ცენტრს შორის როგორიც არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და ევრაზიული კავშირი. საქართველოს კონსტიტუციის ძალით, მინდა დასავლეთს შევახსენო: ხელისუფლების წყარო არის ხალხი და როცა ცდილობ მის გადაწყვეტილებაზე ფიზიკურად იძალადო, შედეგად, მან, შეიძლება პროტესტის უკიდურეს ფორმებს

მიმართოს. ქართველი ხალხი ხომ ბრძენია. აღსანიშნავია, რომ სამეზობლო პოლიტიკა უნდა იყოს მოქნილი და არა კონფრონტაციული, რაც დღეს დასავლეთის კარნახით ხდება. ვიცით, რომ ჩვენთან, შიმშილის გამო, ადამიანი ქუჩაში არასდროს გამოსულა, მაგრამ გეოპოლიტიკური პროცესები შემდეგს გვკარნახობს: **თუ ჩვენ, სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, მეზობლებთან მოლაპარაკების მაგიდასთან არ დავსხდებით, მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვან მოთამაშეებთან რომლებიც შვიდეულში შედიან, მაშინ გამოდის, რომ სახელმწიფო აღარ ვჟოფილვართ და ჩვენს სუვერენიტეტს ძალა არ ჰქონია.** რუსეთი, თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი და სომხეთი უკვე მრგვალ მაგიდასთან სხედან და ამჟამად, მეორედ ტოვებენ საქართველოსთვის ღიად კარებს. მნიშვნელოვანია ითქვას: თურქეთი და რუსეთი რომლებიც სტრატეგიულ პარტნიორობას ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებენ-ხოლმე, დღეს ერთსულოვანნი არიან, რათა რეგიონალური თანამშრომლობის პლატფორმამ გაიმარჯვოს, როგორც ძლიერმა იდეამ რეგიონში ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობისთვის. არ დაგვავიწყდეს, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომი არ დასრულებულა, მაგრამ ეკონომიკური ინტერესის მიღების სურვილი იმდენად ძლიერია, სხვა ყველაფერი მეორე პლანზე იწევს. სომხეთისთვის ეს ტრადიციული აბრეშუმის გზის განტოტებას გულისხმობს. სად არის, ამ შემთხვევაში, საქართველო? — იგი, კვლავ არასად არის. საქართველო ვერ ბედავს საკუთარ ინტერესებზე ღიად ისაუბროს. ამ შემთხვევაში ვრისკავთ შემდეგით: პროცესში, რაშიც მონაწილეობაზე უარს ნებაყოფლობით ვაცხადებთ, შეიძლება გარკვეული გარიგებები ჩვენი ინტერესების გაუთვალისწინებლად მოხდეს. შედეგად, ფაქტის წინაშე დავდგებით. ახლა, პირდაპირ გვაქვს შესაძლებლობა საკუთარი ინტერესები წინა პლანზე დავაყენოთ და ამ პროცესში ევროკავშირიც მოვიხმოთ.

— რას გულისხმობთ?

— მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ამა თუ იმ ქვეყნის შესვლას წინ აღუდგება-ხოლმე ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს უარი. რუსეთი ამ ორგანიზაციაში შევიდა 2010 წელს, საკაშვილის პერიოდში. რუსეთმა საქართველო, ევროკავშირი და შვეიცარია, რომელიც ფასილიტატორი გახლდათ დაითანხმა, რომ იგი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შეეშვათ. სამაგიეროდ, მოხდა ჩვენი არსებითი ინტერესების დარღვევით, ეკონომიკური საზღვრების გადმოწევა ფსოუდან ენგურის ხიდზე და როკის გვირაბიდან გორში, რისთვისაც ყურადღება არავის მიუქცევია. ეს, აბსოლუტურად, მოღალატეობრივი ნაბიჯი იყო, რაც სააკაშვილმა და გიგა ბოკერიამ გადადგა, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანმა. საზოგადოებამ ვერ გაიაზრა რა მოხდა. არაადეკვატური ნაბიჯები მანამდეც იყო. 2008 წლის აგვისტოს ომი ჯერ გაციებული არ იყო, როცა ენგურჰესი მემორანდუმით გადასცეს. ამას მოჰყვა მეორე, კაპიტულანტური ნაბიჯი, როდესაც რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს ეროვნული ინტერესის საწინააღმდეგოდ დაუშვეს. 2010 წელს მომხდარის გამოსწორების გზები, ახლა, დაისახა — შვეიცარიის ფასილიტაციის გზით, რუსეთი თანახმაა, რომ საქართველოს ეკონომიკური საზღვრები ენგურიდან ფსოუზე და გორიდან როკის მიმართულებით გადავიდეს. რატომ ითხოვს ამას შვეიცარია და რატომ ეთანხმება მას რუსეთი? — მას სხვა გამოსავალი არ აქვს იმიტომ, რომ ფსოუზე არსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტთან დაკავშირებულ ევროკავშირისეულ მონიტორინგს — იმ აღურიცხავი ტვირთების კონტროლს ახორციელებს, რომელიც რუსეთში აფხაზეთის პორტების გავლით შემოდიოდა. როცა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ხარ, არცერთი შავი ხვრელი არ უნდა გქონდეს, საიდანაც ამ ორგანიზაციის ეგიდით, ევროკავშირი ვერ მოახდენს ასეთი ტვირთების კონტროლს. შესაბამისად, ეკონომიკური საზღვარი ენგურზე რომ ყოფილიყო, ოჩამჩირიდან და სოხუმიდან შემოტანილი ტვირთები ისე გაივლიდა ფსოუზე, რომ ამას მონიტორინგს ვერავინ გაუწევდა. ახლა, ფსოუზე შვეიცარიის მონიტორინგის ჯგუფი დადგება, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მისი ეკონომიკური საზღვრები, ფაქტობრივად, რუსეთის მიერ, ცნობილი იქნება როგორც დე-ფაქტო და დე-იურე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია. გაკვირვებული ვარ, რატომ უკეთებს იგნორირებას ამ საკითხს ჩვენი ე.წ. მეინსტრიმული, დასავლური მედია. მათ ურჩევნიათ 24 საათი სააკაშვილზე, „ნაცმოძრაობის“ ექსტრემისტებზე გველაპარაკონ და არაფერი გვითხრან მსოფლიოში მიმდინარე იმ მოვლენებზე, რომელიც პირდაპირ საქართველოს ეხება, მათ შორის, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ჩვენი პარტნიორების ჩართვის საკითხს. ვგულისხმობ, შვეიცარიის მაგალითს, რომელმაც ამ ურთიერთობებში დადებითი როლი უნდა ითამაშოს. ეს გახლავთ რეალური პერსპექტივა, რომელიც ქართულ-რუსული ურთიერთობების აღდგენას უკავშირდება. მინდა მჯეროდეს, რომ ამ ურთიერთობების აღდგენა ისეთი საკითხების მოგვარებით დაიწყება, რაც გულისხმობს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გარკვეული პირობებით დევნილთა უკან დაბრუნებას. რუსეთიდან ამ ორი ძირძველი ტერიტორიის დამოუკიდებელ, კვაზი სახელმწიფოებად ცალმხრივად აღიარებას საფუძვლად სააკაშვილის მხრიდან განხორციელებული აგრესია ედო. იმ პერიოდში რუსეთში ელჩი ერო-სი კიწმარიშვილი იყო. მან მიშას გეგმების შესახებ ღიად განაცხადა: ცხინვალის მიმართულებით დაწყებული სამხედრო ოპერაცია თვალის ასახვევად განხორციელდა და სინამდვილეში, აფხაზეთში ეს ღონისძიებები გარკვეულ მიზნებს ისახავდაო. მაშინ, დალის ხეობას სააკაშვილმა ზემო აფხაზეთი უწოდა. კოდორის ხეობა, ფაქტობრივად, მოწინააღმდეგეს ისე ჩავაბარეთ, თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელებაც კი ვერ შევძელით. მაშინ, თავდაცვის მინისტრის ხელით, უამრავი იარაღი ჩამოიწერა და ფინანსები გაირეცხა, რომელმაც შემდეგ ეს თანხები ოფშორებში გაიტანა. კეზერაშვილი სხვადასხვა ბიზნესებში — ნავთობკომპანიების, ლატარიის და ა.შ. ფულის მრეცხავად მოგვევლინა. 2008 წლის მოვლენებმა სააკაშვილის რეჟიმს უზარმაზარი ფინანსური შემოსავალი მოუტანა. მიშა ხელისუფლებიდან წასვლას არც აპირებდა რომ არა საზოგადოების აღტკინება, რომელიც ივანიშვილის გარშემო დაირაზმა. მე, ძალიან კმაყოფილი და მადლიერი ვარ „საერთო გაზეთის“, უშუალოდ, ბატონი ვახტანგ ხარჩილავასი იმის გამო, რომ შესაძლებლობას ტოვებთ განსხვავებული სიტყვა, აზროვნება იქნას გადმოცემული. ქართული საზოგადოება ალტერნატიულ აზროვნებას უნდა მიეჩვიოს. ქართულ-რუსული ურთიერთობების აღდგენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მთავარი ინდიკატორი ეკონომიკური ურთიერთობებია, რაც მიუხედავად ყველაფრისა, უმაღლეს ნიშნულზეა.

— ქართულ-რუსულ ურთიერთობებთან მიმართებით როგორი უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკა. მოლაპარაკებებზე რამდენად მნიშვნელოვანია საკითხის სწორად დასმა?

— ორი გამოსავალი გვაქვს: პირველი — ისეთი პოლიტიკა ვაწარმოოთ, რომ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს — დასავლეთს არაოკუპირებულ ტერიტორიებზე ხელი გაეხსნას და ნატოს სტრუქტურებში მისი ინტეგრირება მოახდინოს. ამ შემთხვევაში, ჩვენ, ნებაყოფლობით უარი უნდა ვთქვათ აფაზაზეთზე, ცხინვალზე და დაველოდოთ ეს ტერიტორიები როდის შევლენ რუსეთის შემადგენლობაში. ამის შემდეგ, საქართველო ნატოში ინტეგრირებას განახორციელებს. სწორედ ეს უნდა დასავლეთს. ეს მისი გეგმაა. მაგრამ უნდა ეს საქართველოს, ქართველ ხალხს, რომელსაც სამშობლოს განცდა აქვს?! ეს ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრის“ პოლიტიკური ანარეკლია. რა გამოდის, ჩვენ, ვგლეჯთ საქართველოს? ვგლეჯთ იმ პატარა ბავშვს, რომელიც საჯილდაო ობიექტად გადაგვიქცევია თუ ხელს ვუშვებთ, რათა იგი ფიზიკურად გადარჩეს?! აბსოლუტური მისტიკაა, რომ ევერიის გაბრწყინება მის ტერიტორიულ მთლიანობასაც გულისხმობს. ბოლო დროს, მისტიკური კომპონენტი პოლიტიკაშიც იკიდებს ფეხს. ყველანი ვგრძნობთ, რომ ეს ბოლო ჟამის პერიოდია. დგება გადამწყვეტი ჟამი, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას გულისხმობს. პირველი ვარიანტია, როგორც მოგახსენეთ, დასავლური გეგმაა. შედეგად, დასავლეთი დანარჩენ საქართველოში იმდენად მოიკიდებს ფეხს, რომ მას თავისი გავლენის ზონად გამოაცხადებს. ამით, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის იდეა დასრულდება, ქართველები, სინგაპურიზაციის ეკონომიკური მოდელის გზით, უმცირესობაში გადავალთ და აქ, გაბატონდება გაზსადენები, სამხედრო ბაზები, რომელთა ნაწილს დასავლეთი, ნაწილს კი რუსეთი გააკონტროლებს. მეორე ვარიანტი ასეთია: ჩვენ, უარს ვიტყვით დასავლურ გეგმაზე, ანუ ზურგს ვაქცევთ ანგლოსაქსურ პოლიტიკას და სწორედ იმ რეგიონალური პოლიტიკის განხილვის სტადიაზე გადავალთ, რაშიც იკვეთება რამდენიმე სახელმწიფო თავისი გეო-პოლიტიკური ინტერესებით. პირველ რიგში, ეს სახელმწიფოებია თურქეთი და რუსეთი. თურქული და რუსული გეოპოლიტიკის კვეთის წერტილებში შეგვიძლია თუ არა ვიპოვოთ ჩვენთვის სასარგებლო მოცემულობა?

— ეს მთელი ხელოვნებაა, რითაც დაჯილდოებული უნდა იყოს საქართველოზე შეყვარებული პოლიტიკოსი. იგი, უნდა ფიქრობდეს: ამ გეო-პოლიტიკურ მონსტრებში მოქცეული საქართველო როგორ გახადოს მოქნილი საგარეო პრიორიტეტებთან დაკავშირებით. სანამ კონსტიტუციაში ის ცვლილება არ შევა, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, მანამ დასავლელი პარტნიორები, მუდმივად, ცხვირწინ აგვაფარებენ ამ დოკუმენტს და გვეტყვიან: ციც, თქვენ უფლება არ გაქვთ რეფერენდუმზე და მისაღებ ცვლილებებზე ისაუბროთო. კონსტიტუციის ძალით, 2008 წლის მერე, რეფერენდუმიც აკრძალული გვაქვს, ამიტომაც აღარც ხორციელდება. დღესაც გვიმტკიცებენ, რომ საქართველოს ისტორიული არჩევანი არის ნატო. ამიტომ, ისეთი პოლიტიკური პლატფორმის მშენებლობაა საჭირო, რომელიც თვისობრივად განსხვავებული იქნება. პრემიერის ქმედებებს რომ ვუყურებ, იმედი მესახება, რომ დაკარგული არაფერია და ყველაფერი წინ გვაქვს. ახლა, ღარიბაშვილს შეუძლია ყურადღება მიიპყროს. აქვე, ექსკლუზიურად გეტყვით: ჩემი ინფორმაციით, დავით გარეჯთან დაკავშირებით უპრეცედენტოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება. არ მინდა ენამ გამისწროს, მაგრამ დიდი იმედით შევყურებ იმ ფაქტს, რომ არამხოლოდ უდაბნოსა და ჩიჩხიტურის მონასტრები, არამედ ბერთუბანიც, შეიძლება, სულ მალე საქართველოს იურისდიქციაში შემავალი სიწმინდეებით დატვირთული გეოგრაფიული არეალები გახდნენ. აქვე, მნიშვნელოვანია კონსერვატიული ფრთის გაძლიერება. ეს უნდა იყოს ლიდერთა ერთობა, ვინც გამოცდილია და უნარი აქვს იაზროვნოს და ქართული სახელმწიფოს ორგანული ინტერესებიდან ამოსავალი იპოვოს. ეროვნული სახელმწიფოს იდეა — დემოკრატიული სახელმწიფოს მწვერვალია. ეროვნულმა ინტერესმა უნდა გაიმარჯვოს!

ყველანი დავფიქრდეთ: რა გამოწვევების წინაშე ვართ, რით დავიწყოთ ქვეყნის გადარჩენა, რათა საქართველოს ერთიანობას, ეკონომიკურ წინსვლას მივაღწიოთ და შედეგად, ეროვნული სახელმწიფოს სტატუსი შევინარჩუნოთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„ადამიანი-აჯაფსანდალი“, ანუ ცოტა რამ მიხეილ სააკაშვილის ყაზახური წარმომავლობის შესახებ

საგანგებო წერილი მიხეილ სააკაშვილის პატიმრობის 100 დღისთავთან დაკავშირებით

ამ შაბათს, ახლა რომ იყო, კვირის წინა დღეს მიხეილ სააკაშვილს პატიმრობიდან 100 დღისთავი შეუსრულდა. ჩვენი გაზეთი რომ გამოვა, უკვე 104 დღე იქნება. ის 104-ე დღეა, გვიჩვენებს გმირობის უპრეცედენტო მაგალითს. ფაქტობრივად, არ სძინავს, წერს და წერს ქვეყნის განვითარების პროგრამებს, ამ ეტაპზე ეკონომიკურ ჭრილში მუშაობს.

როგორც ეკა ხერხეულიძე აცხადებს, ბატონი მიხეილი შედარებით კარგად გამოიყურება, მაგრამ მაინც აღენიშნება რაღაცნაირობები – მაგალითად, ნაპირა ყვერზე აქვს სიწითლე, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ გორიდან რუსთავში გადაყვანისას მანქანაში იჯდა ცერად, ეს კი უთუოდ გახლავთ არაადამიანური მოპყრობის კიდევ ერთი ფაქტი.

ეკა ხერხეულიძე მეორე რაღაცნაირობაზეც ალაპარაკდა, მე-100 დღეს ბატონი მიხეილი კვლავ ვერ ფსამს ადეკვატურად. თუ ჩვენ კარგად დავაკვირდებით გადაფსმის ტრაექტორიას, აშკარად მივხვდებით, რომ მუხტი არის განახევრებული, ანუ „ნაპორი“ არის შემცირებული. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა ვაცნობოთ საერთაშორისო თანამეგობრობას, უპირველესად კი „იუნესკოს“ კულტურული მემკვიდრეობის განყოფილებას.



ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მეგობრებო, ბატონ მიხეილს მივულოცოთ ციხეში ყოფნის 100 დღისთავი, ვუსურვოთ იქ დიდხანს ყოფნა და ბევრი პროგრამების წერა ყველა ჭრილში.

ჰო, რაკი მნიშვნელოვანი თარიღია, ბარემაც გეტყვით, აქვე დავამატებ: ხერხეულიძე ამბობს, ბელადს ძალიან დიდი იმედი აქვს საპარლამენტო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით. იგი უსათუოდ აპირებს, ჩვენება მისცეს ამ კომისიას:

„პოლიტიკურად არის ძალიან კარგ ფორმაში. იცით, რომ მან საზოგადოებას უკვე გააცნო ერთი სერიოზული დოკუმენტი, მის დასავლურ მანიფესტს ვგულისხმობ, ხოლო ამ ეტაპზე მუშაობს ეკონომიკურ პროგრამაზე, რომელიც სიდუხჭირის და გაჭირვების დაძლევისკენ არის მიმართული“.

მდა

„ვის შევჩივლო – რუსთაველი მკვდარია!“

ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ, კობა არაბულმა და მე, ვახტანგ ხარჩილავამ, რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად ერთ ნიჭიერ პოეტს და ამასთან ერთად შესანიშნავი გაზეთის რედაქტორს და საზოგადო მოღვაწეს გავუწიეთ რეკომენდაცია, სადაც შეძლებისდაგვარად ვასაბუთებდით თუ რატომ იყო ღირსი ეს პიროვნება, რომ ესოდენ მაღალი სახელმწიფო პრემია მინიჭებოდა.

როცა რეკომენდაციის ტექსტს ვწერდით, თითოეულ სიტყვას დიდი სიფრთხილით ვარჩევდით, რადგან განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით იმ კომისიის წინაშე, რომელსაც რჩეულთა შორის ყველაზე რჩეული უნდა ამოერჩია და ამ რჩეულისთვის ქართული სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვანი და პატივსაცემი ჯილდო, რუსთაველის პრემია უნდა მიენიჭებინა.

დასამალი არ არის, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველოს არაკეთილმოსურნე ძალებმა პირველი მძლავრი დარტყმა სწორედ მწერლობას მიაყენეს და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მწერლობისთვის ის ისტორიული როლი და ფუნქცია წაერთმით, რითაც იგი ქართველი ერის სულიერ ჩამოყალიბებას და განვითარებას ემსახურებოდა.

ილიას მიერ ფორმულად და სამოქმედო გეგმად ჩამოქნილი მისია: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“, დრომოჭმულ, უსაგნო და არაფრისმთქმელ სიტყვების გროვად იქცა.

მწერლობა მიზანმიმართულად, კარგად გათვლილი და აწონილ-დაწონილი მზაკვრული გეგმის მიხედვით თანდათან განიდევნა საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზიდან.

უმძიმესი მატერიალური და ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოყოლილი მწერლობა ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დადგა.

მწერლობის დაკნინების, დაბეჩავების, მისი იგნორირების მრავალწლიანი პროცესის გამანადგურებელ შედეგებს დღეს იმიკის საქართველო და ქართველი ხალხი.

იმ ძალებმა, რომლებმაც მწერლობის მოშთობის და მოგუდვის პროექტი ჩაიფიქრეს, იმაზეც იზრუნეს, რომ ნამდვილ მწერელობას დილეტანტების, გრაფომანების, ფსევდოპოეტების და ფსევდომწერლების ლაშქარი ჩანაცვლებოდა.

მწერლობა ერის სულიერი წინამძღოლიდან ერის გათახსირების, გარყვნის, მორალური გაპარტახების, ერის გადაგვარების იდეოლოგიურ დესანტად იქცა, რომელიც ყოველმხრივ წაქეზებული და წახალისებული მედგრად უტევს ქართული ცნობიერების საფუძვლებს.

მწერლობა დაიღალა, დაუძლურდა და დანებდა, მხოლოდ ერთეულები თუ აგრძელებენ ბრძოლას და წინააღმდეგობის გაწევას ამ ყოვლის წამლეკავი უბედურების შესაკავებლად.

ამ ერთეულთა მოწინავე რიგებშია ის პოეტი, რომელსაც ჩვენ გავუწიეთ რეკომენდაცია რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად.

რუსთაველის პრემია, ჩვენი აზრით, იმდენად დიდი სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის პრემიაა, რომ ავტორი, ვისაც ეს პრემია უნდა ვარგუნოთ, არამარტო კარგი პოეტი და კარგი მწერალი, არამედ გამორჩეული მოქალაქეც უნდა იყოს, რომელსაც ერის წყლული წყლულად აჩნია და მისი ჭირ-ვარამის ერთგული გამზიარებელი და ჭირისუფალია.

იმ შესანიშნავ პოეტს, რომელსაც ჩვენ ჩვენი მოკრძალებული სიტყვა შევაწიეთ, სწორედ ასეთ შემოქმედად და მოღვაწედ იცნობს საზოგადოება.

გვეგონა, ყოველივე ეს გათვალისწინებული იქნებოდა იმ კომისიის მიერ, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით და ნდობით აღჭურვა ქართულმა სახელმწიფომ და დაავალა, მისი სახელით, ქართველი ხალხის სახელით პირუთვნელად და მიუკერძოებლად გამოერჩია საუკეთესოთა შორის საუკეთესო.

ჩვენი ოპტიმიზმი იმითაც იყო განპირობებული, რომ ამ განუკითხაობის და აღვირახსნილი „ბეზპრედელშჩინის„ ფონზე, რომ წაღმა-უკუღმა ჩამორიგებული ლიტერატურული პრემიები აბსოლუტურად არ არის შესაბამისობაში პრემირებული ნაწარმოებების მხატვრულ ღირებულებასა და ხარისხთან, ვფიქრობდით, რუსთაველის პრემიის მიმნიჭებელი კომისია მაღალი გემოვნების, ობიექტურობის და პასუხისმგებლობის სანიმუშო მაგალითს გვიჩვენებდა და ისეთ კანდიდატს დაადგამდა თავზე დაფნის გვირგვინს, რომლის მიმართაც საზოგადოებას არანაირი კითხვები არ ექნებოდა, თუმცა მწარედ შევცდით — კომისიამ ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, მთელი ლიტერატურული საზოგადოება შოკში ჩააგდო.

ეს იყო სილის გაწვნა მწერლობისთვის და არამარტო მწერლობისთვის...

ეს იყო რუსთაველის პრემიის დისკრედიტაცია, შეურაცხყოფა, აბუჩად აგდება, იმდენად სუსტი და დაბალი ხარისხისაა ის „პოეტური“ შემოქმედება, რაც კომისიამ წარმოდგენილ ნაწარმოებთაგან ყველაზე მაღალი შეფასების ღირსად ცნო.

კონკურსში რამდენიმე ძალზე საინტერესო და ნიჭიერი პოეტი და მწერალი მონაწილეობდა, მაგრამ კომისიამ მაინცდამაინც, უკაცრავად მკვახე გამოთქმისთვის და, ყველაზე უნიჭოს დაუჭირა მხარი, რომელიც მწერლობაში თავისი შემოქმედებით კი არა, თავისი საქმოსნურ-კომერციული „ტალანტით“ და მოხერხებულობით არის ცნობილი.

ამ ადამიანის გალაურეატებას იმდენი უკიდურესად მწვავე და აღშფოთებული გამოხმაურება მოჰყვა, ზედმეტად მიმაჩნია, ამ საყოველთაო აღშფოთებას ჩემი ხმაც შევუერთო, თუმცა ერთ რამეს მაინც ვიტყვი: ჩალიჩი ყველგან და ყველა დარგში სათაკილო საქმეა, მაგრამ, როცა მწერლობასა და ხელოვნებაში იწყებ ჩალიჩს, რომ ის მიიღო, რაც შენ არ გეკუთვნის, ეს უკვე ამაზრზენია.



ეს ადამიანი, რაც თავი მახსოვს, სულ რაღაცას ჩალიჩობს — ყიდის და ყიდულობს, თანაც თავისას კი არა, სხვისას, თავად აწესებს და თავად არიგებს ნაირ-ნაირ პრემიებს, რომლებიც მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და, რაც მთავარია, ამ ადამიანმა იმდენი მოახერხა, რომ ერთ დროს სერიოზული და ავტორიტეტული სამწერლობო ორგანიზაცია ბალაგანად აქცია, სადაც უამრავი ისეთი ადამიანი შეყარა, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ მწერლობასთან და ეს გააკეთა იმისთვის, რომ ორგანიზაციაში საკუთარი უმრავლესობა ჰყოლოდა, რომელიც, ცხადია, არჩევნებზე მხოლოდ მას მისცემდა ხმას.

აი, ამგვარი მანიპულაციებით და მაქინაციებით 18 წელია მან შეძლო ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტის შენარჩუნება, ამ პოსტს კი ის შესაშური მარიფათიანობით იყენებს პირადი ინტერესებისთვის.

ახლა ვეკითხები კომისიის წევრებს: აი, ეს თხემით ტერფამდე უნიჭო პოეტი, მაგრამ თხემით ტერფამდე „დელეცი“, ქართული მწერლობის წყევლა, ქართული მწერლობის მესაფლავე, ქართული მწერლობის მდედრობითი სქესის სეთური, რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ რუსთაველის პრემიის ლაურეატად?

როგორ მაინტერესებს, რა ჩაწერეთ იმ დასკვნებში, სადაც „ასაბუთებდით“, რომ ამისა და ამის გამო ეს ადამიანი აუცილებლად რუსთაველის პრემიის ლაურეატი უნდა გახდესო?

საქართველოს პრეზიდენტმა, რომლის პატრონაჟის ქვეშ ტარდება რუსთაველის პრემიის კონკურსი, განაცხადა, მე არ ჩავრეულვარ პრემიების გაცემის საკითხში, მე კომისიის წევრების დასკვნებს ვეყრდნობოდიო.

მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, კომისიის წევრები შინაურულ საუბრებში საპირისპიროს ამბობენ და ჩუმად, ისე, რომ არავინ გაიგოს, საიდუმლოდ გეტყვიან: ჩვენ ვინ გვკითხა, ვისთვის რა უნდა მიეცათო.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს არგუმენტი თავის სამართლებლად გამოდგება, ძალიან ცდება: თუ არავინ არაფერს გეკითხება, გქონდეს თავმოყვარეობა — ადექი და წამოდი ამ ე.წ. კომისიიდან.

დანაშაული მრავალნაირი არსებობს.

ის, რაც ლიტერატურის დარგში რუსთაველის პრემიის გაცემასთან დაკავშირებით მოხდა, ბევრი ასპექტით საკმაოდ მძიმე დანაშაულია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ძალზე უარყოფითად იმოქმედებს ლიტერატურული პროცესების განვითარებაზე.

სამწუხაროა, რომ სახელმწიფო, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა იცავდეს მწერლობას მწერლობას მიტმასნილი შარლატანებისა და „დელეცების“ შემოტევებისგან, თვითონ იქცა მათ წამხალისებლად და ხელშემწყობად.

ვახტანგ ხარჩილავა

თბილისი
აფთიაქების ქალაქი

რაც სააფთიაქო ბიზნესში ხდება, ფაქტობრივად, ეს არის მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი გენოციდი, რომელსაც ათასობით და ათიათასობით ადამიანის ჯანმრთელობა ეწირება.

თბილისში იმდენი აფთიაქია, შეიძლება იფიქრო, რომ ეს ქალაქი სიცოცხლით სავსე ქალაქი კი არა, ავადმყოფების ქალაქია, სადაც ყველა წამლის ყიდვაზეა გადასული.

საბედნიეროდ, ეს ასე არ არის, თუმცა აფთიაქების ზღვარგადასულმა სიმრავლემ შეიძლება ამგვარ დასკვნამდე მიგიყვანოს.

ერთმანეთს მიჯრით მიწყობილი აფთიაქები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე, თითქოს ქვეყანაში სხვა ბიზნესი, გარდა სააფთიაქო ბიზნესისა, არ არსებობს.

კიდევ უფრო გასაოცარი ის არის, რომ მცირე რადიუსის ერთ სივრცეში ერთი და იგივე კომპანიის რამდენიმე აფთიქია ერთმანეთს მიწყობილი.

ამ მხრივ განსაკუთრებით ორი კომპანია აქტიურობს — „ავერსი“ და „პსპ“.

„პსპს“, „პსპ“, „პსპ“ „ავერსი“, „ავერსი“ ავერსი“, მერე ისევ „პსპ“, მერე ისევ „ავერსი“ და ა. შ. და ა. შ.

— საბაზრო ეკონომიკაა, ბატონო, კონკურენციაა და მეტი ადგილის მოკავებას ცდილობენ, — შემომედავება, ალბათ, რომელიმე ეკონომისტი.

კი, მაგრამ, რანაირი კონკურენციაა ეს, როცა, ვთქვათ და, „პსპ“ ერთ თავის აფთიაქს ორ აფთიაქს რომ მიუდგამს — ერთს მარჯვნივ, მეორეს მარცხნივ.

ვის უწევს ამ შემთხვევაში ეს კომპანია კონკურენციას — საკუთარ თავს?

კი, ნამდვილად საკუთარ თავს, მაგრამ მას მტკიცედ სჯერა, რომ საკუთარ თავს კი არა, კონკურენტ კომპანიებს ძირავს.

იმ კონკურენტ კომპანიებსაც ზუსტად ისე ჰგონიათ, როგორც ამას — რაც უფრო ბევრ აფთიაქს გახსნი, მით უფრო მაგრად დაერზევა სხვებს.

ასეთია ქართული სააფთიაქო ბიზნესის ბიზნესკონცეფცია — ალბათ, ყველაზე იდიოტური კონცეფცია მთელ მსოფლიოში საკუთარი თავის და მომხმარებლის, ანუ კლიენტურის წინააღმდეგ მიმართულ „ფილოსოფიაზეა“ აგებული.

მოგეხსენებათ, წამლების ფასის კატასტროფულად მატებამ ხელისუფლება ძალიან შეაშფოთა და პრევენციული ზომების გასატარებლად რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის ისეთ კომპეტენტურ ორგანოს მიმართა, როგორიცაა კონკურენციის სააგენტო.

„კომპეტენტურმა ორგანომ“, ბატონი ლეფსვერიძის ხელმძღვანელობით, 11 ინიციატივა წარმოადგინა, თუმცა ამ 11 ინიციატივაშიც, ფაქტობრივად, არაფერია ნათქვამი, თუ რა იწვევს საქართველოში მედიკამენტების ფასების არნახული მასშტაბებით ზრდას.

ლეფსვერიძის ინიციატივებში არც იმაზეა საუბარი, რომ ფასების ზრდის ერთ-ერთი მთავარი მაპროვოცირებელი ფაქტორია სააფთიაქო ქსელის გაფართოება, ანუ სააფთიაქო ფართების უკონტროლო და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული ზრდა.

ცხადია, ერთი და იგივე კომპანია ერთ აფთიაქს დამატებით კიდევ სამ აფთიაქს თუ მიუდგამს, ამით მომხმარებელთა რაოდენობა არ იზრდება, სამაგიეროდ, სამჯერ იზრდება კომპანიის ხარჯები, ეს გაზრდილი ხარჯები კი კომპანიამ ისევ მომხმარებლის ჯიბიდან უნდა ამოიღოს და ისიც ზრდის და ზრდის მედიკამენტების ფასებს 100%-ით, 200%-ით, 300%-ით — პასუხის მომთხოვნი კი არავინაა, ან როგორ უნდა მოსთხოვონ პასუხი — ჩვენთან ხომ საბაზრო ეკონომიკაა და ბაზარმა თვითონ უნდა დაარეგულიროს ფასები.

წლებია საქართველო ბაზრის მიერ დარეგულირებულ ფასებს ელოდება, თუმცა დარეგულირების ნაცვლად ფასები ყველა დარგში, ყველა სფეროში იზრდება და იზრდება, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ბაზარი ბაზრის პრინციპით კი არა, სულ სხვა „პრინციპებით“ იმართება, რომლებსაც საბაზრო ეკონომიკასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

სააფთიაქო ბიზნესს მაფიური კლანები დაეპატრონენ და მათ თავგასულობას, ცხადია, ლეფსვერიძის კანტორა ვერ აღმოფხვრის, თუ სახელმწიფოს მიერ რადიკალური ზომები არ იქნება მიღებული.

მდგომარეობის გამოსასწორებლად სააფთიაქო ბიზნესის წარმომადგენლებს ექვსი თვე მიეცათ.

ვინმეს სჯერა, რომ ეს სინდისგარეცხილი მაფიოზები ექვს თვეში გამოსწორდებიან და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით დაიწყებენ საქმიანობას?

როგორც გაირკვა, თურქეთიდან, სადაც მედიკამენტების ფასი ძალიან დაბალია, წამლების შემოტანა აკრძალულია.

კიტრის და პამიდვრის შემოტანა თუ შეიძლება თურქეთიდან, წამლების შემოტანა რატომ უნდა იყოს აკრძალული?

რატომ და იმიტომ, რომ ასე აწყობთ ქართველ მაფიოზებს!

რა ვქნათ, მაფიოზების სიხარბეს და გაუმაძღრობას უნდა შევწიროთ ეს ქვეყანა?

შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი ეფექტური გამოსავალი არსებობს: სახელმწიფომ თვითონ უნდა დაიწყოს მედიკამენტების შემოტანა და მათი გაყიდვა მის მიერვე დაარსებულ მუნიციპალურ აფთიაქებში.

— ამის გაკეთება როგორ შეიძლება? როგორ შეიძლება სახელმწიფო ბიზნესის საქმეებში ჩაერიოს?! — აღშფოთდებიან, ალბათ, ვიღაც-ვიღაცები.

თუ აშშ-ში ერევა, გერმანიაში ერევა, იტალიაში, საფრანგეთში, შვედეთში, ბელგიაში, ნორვეგიაში (და ა. შ. და ა. შ.) ერევა, რომ არავერი ვთქვათ ჩინეთზე, იაპონიაზე, სინგაპურზე, საქართველოში რატომ არ შეიძლება სახელმწიფო ჩაერიოს ბიზნესში იმ დროს, როცა ესა თუ ის ბიზნესი ბიზნესის ჩარჩოებიდან გადის და სახელმწიფოსათვის საშიშ და სახიფათო მონსტრად იქცევა?

როცა წამყვანმა კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა დიდი ხანია გადახედეს ეკონომიკის განვითარების ლიბერალურ მიდგომებს, საქართველო ვინ დააფიცა ასე მწარედ ლიბერასტული იდეოლოგიის „ბიბლიაზე“, რომ მისგან თუნდაც ოდნავ გადახვევა დიდ ცოდვად და მკრეხელობად ითვლება?

არამარტო მედიკამენტების, არამედ დროა, ქართულმა სახელმწიფომ იფიქროს ენერგომატარებლების შემოტანაზეც, სანამ ბენზინის მაფია ბოლომდე არ ჩამოშლის ქართულ ეკონომიკას.

— ამ გზით თუ ვიარეთ, ჩვენ ისევ სოციალიზმში დავბრუნდებით! — განგაშის ზარებს დაარისხებენ ქართული ლიბერზლიზმის ლობისტები.

თქვენ როგორ ფიქრობთ, სოციალიზმში არიან დაბრუნებულნი ის მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, რომელთა ყოფაში იმდენად ჭარბად არის შესული სოციალიზმის ელემენტები, გეგონება, გაუმჯობესებულ საბჭოთა კავშირში ცხოვრობენო.

კაპიტალიზმმა დიდი ხანია იცვალა ფორმა და შინაარსი, რომ მის წიაღში არ შობილიყო მისი მესაფლავე — პროლეტარიატი. თუმცა ის „ძველმოდური“ კაპიტალიზმი, რომელსაც დღეს საქართველო აშენებს, აუცილებლად დაბადებს მისი საფლავის გამთხრელს, ქართულ პროლეტარიატს.

— საქართველო ღარიბი ქვეყანაა, — ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვებს, რომლებიც თავის მართლებასავით ჟღერს ხოლმე: საქართველო ღარიბი ქვეყანაა და რა ვქნათ, სხვა გზა არ არის — უნდა შევეგუოთ სიღარიბეს.

საქართველო ღარიბი ქვეყანა კი არა, უდიდესი პოტენციალის მქონე ქვეყანაა, რომელიც სულ რამდენიმე წელიწადში შეიძლება რეგიონში უმდიდრესი სახელმწიფო გახდეს, ოღონდ ამისთვის საჭიროა რევოლუციური ცვლილებები და რადიკალური რეფორმები.

„საერთო გაზეთს“ უმორჩილესად ვთხოვ, გამოაქვეყნოს ეს წერილი და თუ საჭიროდ ჩათვლის, წამოიწყოს დისკუსია წერილში წამოჭრილი საკითხების გარშემო.

გურამ კერძეკაძე
თბილისი

რედაქციისაგან: ვასრულებთ ბატონი გურამის თხოვნას და ვაქვეყნებთ წერილს, რომელშიც, ჩვენი აზრით, საინტერესო რაკურსით არის წარმოჩენილი ის პრობლემები, რომლებიც ასე აწუხებს ჩვენს საზოგადოებას.

ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება, თუ წერილში წამოჭრილი თემების გარშემო მართლაც გაიმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, ეკონომისტები, ანალიტიკოსები, ექსპერტები.

ველით თქვენს გამოხმაურებებს.

„საერთო გაზეთი“

საქსტატია თუ იუმორისტულ-გასართობი კლუბი?

ღია წერილი საქსტატის დირექტორს, ბატონ გოგიტა თოდრაძეს

მეგობრებო, როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანას, სახელმწიფოს, ჩვენც გვაქვს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რომელსაც დაარსებიდან 100 წელიწადი შეუსრულდა. ამ სამსახურის დევიზია: „სანდო მონაცემები სწორი გადაწყვეტილებისთვის“. მისი დირექტორი 2018 წლის მაისიდან გახლავთ გოგიტა თოდრაძე, რომელიც მანამდე, 2002 წლიდან მოყოლებული, ამავე სამსახურში იყო სპეციალისტი, ეკონომისტი, სამმართველოს უფროსი, დეპარტამენტის უფროსი, დირექტორის მოადგილე და ასე შემდეგ. ბატონ გოგიტას გავლილი აქვს ყველა საფეხური უმცროსობიდან უფროსობამდე, მან იცის (ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდეს) ყველა დეტალი, ყველა ნიუანსი და სწორედაც ამიტომ მინდა მივმართო ღია წერილით:

გამარჯობა, ბატონო გოგიტა

გილოცავთ შობა-ახალ წელს და თქვენდამი დაქვემდებარებული სამსახურის 100 წლის იუბილეს. თქვენ გაიხარეთ, რაც ვერ მოახერხეს ე.წ. ქართულმა ტელევიზიებმა თავიანთი გასართობი გადაცემებით ამ ახალ წელს, მოახერხა სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა. სულ ვამბობ ხოლმე, პროფესიონალიზმი, გამოცდილება და (ჰ)ასაკი მაინც სხვა რამეა. როგორც ჩანს, 100 წლის განმავლობაში იუმორის ისეთი ნიჭი გამოგიმუშავდათ, რა შოუ, რის შოუ, რომელი იუმორინა? ტოლს არავის უდებთ – ხშირად ისეთ მონაცემებს აქვეყნებთ, მთელი ქვეყანა ხარხარებს. ახლაც ასე იყო, თქვენს მიერ გამოკვლეული „მდგმოიარობის“ თანახმად, 2021 წელს საქართველოში ყველაზე მეტად გაძვირდა კომბოსტო, ჩინური ბოსტნეული გაძვირების მხრივ პირველ ადგილს იკავებს. ბატონო გოგიტა, ამოცანა გვეკითხება: ვინაიდან და რადგანაც, ბუნებაში კომბოსტოს 100 სახეობა არსებობს, რომლის ფასი გაიზარდა რეკორდულად, 192,2%-ით, პეკინურისა, ყარაჯლისა, მიწაფხლისა, რაფსისა, მოსკოვურისა, ყვავილოვანისა თუ კოლაბრისა? სხვათა შორის, სამიოდე კვირის წინ დედოფლისწყაროში ორი თავი ლაგოდეხური ვიყიდე, მწნილისთვის საუკეთესოა, კილო 2 ლარიო. კი მეძვირა, მაგრამ ლაგოდეხში უფრო იქნებოდა, გავიკითხე, იქ ლარიაო. საინტერესოა, თქვენი სამსახური ბოსტნეულის ფასებს ნავთლუღის ბაზრის მიხედვით ადგენს, დეზერტირების ბაზრის მიხედვით თუ ლილოში გაიკითხავთ ხოლმე? ლაგოდეხში, ან მარნეულში რომ გაგეკითხათ, გარწმუნებთ, კომბოსტო გაძვირებულ ბოსტნეულთა შორის პირველ ადგილს ნამდვილად ვერ დაიკავებდა.

ბატონო გოგიტა, თქვენი სამსახურის დავთრების თანახმად, მეორე ადგილზეა „წყლის გადასახდელი“ 77,4%-ით. მესამეზეა – „ბუნებრივი აირის გადასახდელი“ 76,6%-ით, მეოთხეზე – „ელექტროენერგიის გადასახდელი“ 65,6%-ით, მეხუთეზე – „ნაგვის გატანის გადასახდელი“ 58,1%-ით და აჰა, მეექვსეზე გახლავთ მისი უდიდებულესობა ქლიავი 51,5%-ით. ეს ოხერი ამოცანა ამ შემთხვევაშიც გვეკითხება: რომელი ქლიავი გაძვირდა – სტენლი, უნგრულა, დიდი ჰერცოგი, იტალიური, ვაშინგტონი, ჯეფერსონი, ჭანჭური თუ ფრიარი? ისე, რაღა დაგიმალოთ, ბატონო გოგიტა, თურმე ქლიავი ისეთი სასარგებლო ხილი ყოფილა, უფრო ძვირი უნდა ღირდეს. აი, ნახეთ, რა წერია ვიკიპედიაში: ქლიავი გამოიყენება ქრონიკული შეკრულობის დასაძლევად. ასევე გამოიყენება ათეროსკლეროზის, თირკმლის დაავადებების, რევმატიზმის დროს, ზრდის მადას და კარგი შარდმდენია“.

გამოგიტყდებით, ამდენი არ ვიცოდი, როცა შემოვა, მე პირადად „ქლივრის“ მეტს აღარაფერს შევჭამ. თუმცა ახლა ერთი რამ მაწუხებს – როგორ მოხდა, ან რატომ მოხდა, რომ ხილის ამ სახეობის შემდეგ ლურსმანი გაძვირდა და არა ატამი, ვაშლი და ყურძენი? დიახ, თქვენი სამსახურის კვლევა აჩვენებს, რომ ქლიავის შემდეგ 49,1%-ით ლურსმანი გაძვირდა. ოღონდ, გაუგებარია, რომელი გაძვირდა – „შტრაფილი“, „გვოზდი“, თურქული, უკრაინული, ბეტონისა, გალვანიზებული თუ წითელი? რომ წერთ, ლურსმანი გაძვირდაო, ეგრე სად არი, ხომ უნდა დააზუსტოთ, რომელი გაძვირდა? ლურსმანის შემდეგ მოდის, მკითხველი არ დაიჯერებს... თერმომეტრი. ესე იგი, 2021 წელს საქართველოში ქლიავი, ლურსმანი და თერმომეტრი უფრო გაძვირდა, ვიდრე ბენზინი, ზეთი და სხვა პროდუქტები. გაინტერესებთ, რამდენით გაძვირდა თერმომეტრი? 47,5%-ით. ოღონდ აქაც შარში ვართ, არ ვიცით, ელექტრო თერმომეტრზეა საუბარი თუ იმაზე, ხელის ქნევით რომ ვბერტყავთ ხოლმე. როგორ გითხრათ... ამ შემთხვევაში მე მაინც ვხედავ კავშირს თერმომეტრსა და დანარჩენ სამყაროს შორის – თუ ყველაფერი გაძვირდა და ამის გამო მოსახლეობას სიცხემ აუწია, რასაკვირველია, მოთხოვნილება სიცხის საზომზეც უნდა გაზრდილიყო. დიახ, არის ამაში ლოგიკა. თუმცა ბენზინი მეცხრე ადგილზეა რატომ არის 39,9%-ით, მაინც გაუგებარია.

მეათე ადგილს იკავებს მისი უდიდებულესობა კვერცხი. არც გოგლი-მოგლი, არც ომლეტი, პირდაპირ კვერცხი 37,6%-ით!

ბატონო გოგიტა, გარდა ამ ანაკდოტური ციფრებისა, ჩვენ, საზოგადოების „ინტრიგან“ წევრებს ასევე გვაინტერესებს, რანაირად ადგენთ, რამდენით გაძვირდა მამაკაცის ტრუსი, ქალის ტრუსი, ბიუსტჰალტერი, კოლგოტი, ბავშვის ტრუსი, გოგოს ჩექმა, პირსახოცი, ყვავილი, წიგნი, ამ შემთხვევაში ხომ ათასნაირი ფასები დომინირებს? არის ძვირფასი ტრუსი, არის ძალზედ იაფიანი ტრუსი, ჩინეთიდან შემოტანილი. ასევე ითქმის სხვა პროდუქციაზე – მაგალითად, რომელი ბიუსტჰალტერი გაძვირდა, გერმანული, ჩინური თუ ფრანგული? ისე, ავი ენები ამბობენ, რომ 2021 წელს ტანსაცმელი საგრძნობლად გაიაფდა. ვიცი, თქვენ თქვენი პროფესიონალური მეთოდები გაქვთ, არსებობს საერთაშორისო სტანდარტებიც, არც ისეთი არიფი ვარ, ამდენი არ ვიცოდე, მაგრამ მეჩვენება, ისევ საბჭოთა მეთოდებით მუშაობთ (ეს ჩემი პირადი აზრია). თუ არა, მაშინ ამიხსენით, რატომ იწვევს საქსტატის ნებისმიერი კვლევა, მონაცემი თუ ციფრი ღიმილს?

მეტსაც გეტყვით... 2013 წელს საქსტატის ეროვნული საბჭოს დადგენილებით, გამოიცა სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომელიც ეყრდნობა სამ ნაშრომს: „სამომხმარებლო ფასების ინდექსის სახელმძღვანელო, თეორია და პრაქტიკა“ – გამოცემულია 2004 წელს ჟენევაში. „სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების პრაქტიკული სახელმძღვანელო“ – გამოცემულია გაეროს მიერ 2009 წელს. „სამომხმარებლო ფასების ინდექსი“ – გამოცემულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 1993 წელს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ნაშრომების გამოცემის შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, ანუ ხომ არ მოძველდა იმისთვის, რომ დღეს უტყუარ მეთოდოლოგიად გამოვიყენოთ და ფასებიც ამის მიხედვით გამოვითვალოთ? საქსტატის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოში, რომელიც 9 წლის წინ გამოიცა, წერია, ფასების შეგროვება ხდება ქვეყნის 6 დიდ ქალაქში – თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავსა და ზუგდიდში, საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებზეო. რატომ? თურმე იმიტომ, რომ სამომხმარებლო კალათა იდენტურია ექვსივე ქალაქისთვისო. თუ არ ვცდები, იდენტურობა იმას ნიშნავს, რომ ამ ქალაქებში მაცხოვრებელთა სამომხმარებლო კალათა არის ერთნაირი, რაც დაუჯერებელია. აბა, რანაირად, როგორ უნდა იყოს თელაველისა და მთიან აჭარაში მაცხოვრებლის კალათა ერთნაირი? რანაირად უნდა იყოს იდენტური? გამოდის, თუ ე.წ. სინჯებს ავიღებთ ზუგდიდში, ეს ანალოგიური იქნება თბილისისთვის ან ქუთაისისთვის? გამოდის, ერთი ქალაქის მონაცემები შეგვიძლია განვაზოგადოთ დანარჩენზე? არ ვიცი, შეიძლება რაღაც მეშლება, მაგრამ სიტუაცია ისეთი ვერაა, როგორც უნდა იყოს. აქ ეჭვს მიმყარებს ერთი გარემოებაც: 2021 წლის 6–9 დეკემბერს საქსტატმა უცხოელ ექსპერტებს უმასპინძლა. ეს ინფორმაცია თქვენი საიტიდან გახლავთ ამოღებული. რა უნდოდათ უცხოელ ექსპერტებს საქსტატში? აღნიშნული ვიზიტი ევროსტატის ორგანიზებით ჩატარდა და მიზნად ისახავდა ფასების სტატისტიკის მიმართულებით ე.წ. სექტორულ შეფასებას. დეტალურად უნდა შემოწმებულიყო გამოყენებული მეთოდოლოგიები და შეფასებულიყო მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. ფასების სტატისტიკის დეტალური შემოწმება საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა. უცხოელი ექსპერტების მიერ მომზადდება დასკვნა და რეკომენდაციები, რომელიც მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება ფასების სტატისტიკის შემდგომი განვითარებისთვის. აი, ბატონო გოგიტა, მივედით იმ თემასთან, რომელზეც აქამდე ვწერდი – თურმე ფასების სტატისტიკის დეტალური შემოწმება საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა. რატომ? სწორედ ამის გამო ხომ არ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ხშირად ქვეყნდება მონაცემები, რომელიც მოსახლეობის 99,9%-ში იწვევს „ღიმილიანობას“ და „სიცილიანობას“?

ესე იგი, როგორ არისო, ბატონო გოგიტა? ლურსმანი ზეთზე მეტად გაძვირდა და ქლიავი კიდევ ბენზინზე მეტადო, ხომ? უი, ჰო, კომბოსტო კიდევ სულ გადამავიწყდა, ეგეც ძაან არი გაძვირებული, „დაჟე“ „სალიარკაზე“ ძაან. ეჰ, რა დრო დაგვიდგა, რა დრო? თქვენ გაიხარეთ, რომ არა საქსტატი, ამ ახალ წელსაც მოწყენილობა დამეუფლებოდა... ესე იგი, „ტრუსიკიც“, არა?

ჰა, ჰა, ჰა... ჩვენ სიყვარული კი არა, იუმორი გადაგვარჩენს!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ეროვნულ თანხმობას თავის დროზე სააკაშვილი და „ნაცები“ დაუპირისპირდნენ და ჩანასახშივე ამოძირკვეს

ეროვნულ თანხმობაზე საუბარი ნაცების მხრიდან- უტიფრობის მწვერვალია. ამ ყველაფრის მკადრებელ უნამუსოებს, ჰგონიათ რომ ქართველებს მოკლე მეხსიერება აქვს. კი, მაგრამ თქვენი ლიდერ-ზარბაზანა სააკაშვილი არ დაუპირისპირდა ეროვნულ თანხმობას და არ მოაშთო ჩანასახშივე ეს საშვილიშვილო საქმე?

ვისაც არ ახსოვს, ან არ იცის, შევახსენებ, რომ ეროვნული თანხმობის კონცეფციის შემუშავება-შექმნაზე მუშაობდა დიდი ჯგუფი



– ბატონების: **გურამ აბსანძის, გიორგი გაჩეჩილაძის, ელდარ შენგელაიას, მურმან ზაქარაიას, იგორ კვესელავას, რობერტ პეტრიაშვილის, ნემო ბურჭულაძის, ჯემალ შონიას**... ქალ-ბატონების: **ია ბაგრატიონის, ირინე ტალიაშვილის, ლუარა გამყრელიძისა** და სხვათა ხელმძღვანელობით. მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც თავდაუზოგავად იბრძოდა და იღწვოდა, როგორც კონცეფციის შექმნაზე, ასევე მისი განხორციელების ეტაპების შემუშავებასა და პრაქტიკულად განხორციელებაზე. საამისოდ შეიქმნა ეროვნული თანხმობის სამინისტრო, სახელმწიფო მინისტრითა და შესაბამისი აპარატით. სახელმწიფო კომისია და ა. შ.

თავდაპირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა, გადაიდგა პირველი ნაბიჯები ეროვნული თანხმობის უმთავრესი პრინციპის – პოლიტიკური და სოციალური შურისძიების იდეის დაძლევის მიზნით. ტყიდან გამოყვანილიქნა პირველი პრეზიდენტის მომხრე ეროვნული გვარდიის წარმომადგენლები. ე.წ. „20 აპრილის“ დადგენილებით ძებნა შეწყდა პოლიტიკურად დევნილ ასობით ადამიანზე, მოკლედ ყველაფერი კეთდებოდა დიდი საერთო ეროვნული შერიგების მისაღწევად.

რაიონებში შეიქმნა ეროვნული თანხმობის შესაბამისი დავალებების შემსრულებელი ჯგუფები. რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ პოლიტიკურად მამასისხლად დაპირისპირებული პიროვნებები.

კონცეფციაში გამოკვეთილად წინარეობდა უწმინდესის არაერთი გამონათქვამი ეროვნული თანხმობის კონცეფციაზე, მათ შორის: „უნდა შევთანხმდეთ საერთო სახელმწიფოებრივ პრინციებზე, სახელმწიფოს აღმშენებლობა არ უნდა იყოს ერთი რომელიმე დაწინაურებული ჯგუფის საქმე, არამედ სრულიად ერი უნდა ჩაერთოს ამ უპირველესად საკეთებელ საქმეში. უნდა ვიაროთ უფლის გზით და თუ ამაში ხელს გვიშლის ჩვენი წარსული, შევურიგდეთ მას, რათა არ გავიფუჭოთ აწმყო და არ დავუნგრიოთ მომავალი ჩვენს შვილებს!..“

სხვა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად, აუცილებელი გახლდათ ეროვნული თანმხმობის კონცეფციის აღიარება და შესაბამის მემორანდუმზე ხელმოწერა, რაც იქნებოდა იმის ხაზგასმა, რომ სახელმწიფო იღებდა პასუხისმგებლობას ეროვნული თანხმობის შემდგომი ეტაპის განხორციელებაზე. სწორედ ასეთ დროს უგანეს ქვეყანას სააკაშვილმა და მისმა ჯგუფმა, 2006 წლის 22 აპრილს ქაშუეთის ეკლესიაში საზეიმო ცერემონიალზე, სადაც ხელმოწერებით უნდა აღიარებულიყო ეროვნული თანხმობის მემურანდუმის აუცილებლობა და კანონიერება, **ხელისუფლებამ სააკაშვილის ხელმძღვანელობით უარი განაცხადა ხელმოწერაზე და ეროვნული თანხმობის რეალურად განხორციელებაზე. შესაბამის დოკუმენტს ხელი მოაწერეს მხოლოდ, კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ და სახელმწიფო მინისტრმა გურამ აბსანძემ.**

დიახ, როგორც კი დაინახეს სააკაშვილმა და მისმა ჯგუფმა საფრთხე ერის შერიგებისა და შესაძლო ერთიანობისა, მაშინათვე დაუპირისპირდნენ მას და ქვეყანა ისევ ქაოსსა და წყვდიადში დატოვეს.

ამის შემდგომ, გაუქმებულიქნა ეროვნული თანხმობის სამინისტრო, სახელმწიფო კომისია და შესაბამისად დათხოვნილ იქნა ყველა ის თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ იღებდა მონაწილეობას ამ დიდი საქმის განხორციელებაში. რაც შეეხება უშუალო ხელმძღვანელს, ბატონ გურამ აბსანძეს, ის ღამით, წითელი ხიდიდან გააპარეს მეზობელ ქვეყანაში, რადგან საიდუმლო ინფორმაციით, შეთითხნილი ბრალდებით, აპირებდნენ მის დაპატიმრებას!

აი, ასე ამოძირკვა ეროვნული თანხმობის იდეა სააკაშვილამა და დღეს ამ თემის წამოწევა მისი და მისი მომხრეების მხრიდან არის სპეკულირება ამ უმნიშვნელოვანესი იდეით და ახალი ხრიკი ციხიდან თავის დასაძვრენად!

ნაცებო, მიხეილ სააკაშვილო, ყველაფერი გვახსოვს, ყველაფერი თვალწინ გვიდგას, ამიტომაც ტინგიცობასა და ფარისევლობას მოეშვით.

ერმა თავის დროზე უსწორესი განაჩენი გამოგიტანათ!

ლაშა გვასალია

„უფალთან სიახლოვე ღვთის ნების გულმოდგინე შესრულებაში ვლინდება“

ამ ცოდვილ დედამიწაზე თითოეული ჩვენგანი დროებით ვართ. უფლისაგან მოგვევლინა ანფელოზი მცველად ჩუენდა, რომელიც აღრიცხავს ჩვენი მიწიერი ცხოვრების ნამუშაკევს და უხარის, როცა კეთილი საქმეებით არს გაჯერებული, ხოლო მიღმა მიმალულია ბოროტი სული, ჩასაფრებული, რომელიც აგროვებს მხოლოდ ცოდვებს.

თქვენში ბავშვობიდანვე იყო ჩანერგილი თესლი კეთილი, რომლიდანაც აღმოჩენდა ადამიანობა, ზნეობა, სიყვარული შრომისა, ერისა, სიყვარული ჭეშმარიტი რწმენისა, აღმოცენდა თავდადება, თავგანწირვაც კი.

მამა ბასილ, ღირსეულო მოძღვარო, ერისა და სარწმუნოების უანგარო, უძილო ქომაგო, ღვაწლმოსილო, თავდადებულო, მართლმადიდებლობის უზადო დამცველო ებგურო და მსახურო. ზეციური მადლი და წყალობა უსასყიდლოდ მოგეცათ და თქვენც უსასყიდლოდ გასცემთ განსხვავებით სხვა მოძღვრებისგან, რომლებიც უფლის კარზე საცხოვნებლად მოსულთ ჯიბეებზე შესცქერიან.

„ღვთის მადლის უსასყიდლოდ მიმღებმან უსასყიდლოდ უნდა გასცეს იგი და არ გამოიყენოს საკუთარი გამორჩენისათვის“ (ბასილი დიდი).

ამიტომაც დაგადგათ უფალმა უმძიმესი ჯვარი და გაიაზრეთ წმიდა მამათა, ღირსეულთა ხვედრი, რომელთაც საკუთარი სისხლით წერეს საქართველოს ეკლესიის ისტორია. ჩვენი ქვეყნის ტრადიციებს, იდენტობას, მენტალიტეტს, სარწმუნოებას არსობის დღიდან რჩეულნი იცავდნენ და გადაეცემოდა თაობიდან თაობას. 90-იანი წლებიდან მოყოლებული ეს მისია თქვენ დაგეკისრათ, რომელიც მთელი არსებით გაითავისეთ და მაშინ, როცა დუმდა ერი თუ ბერი, მაშინ, როცა ძალას იკრებდნენ საქართველოს მტრები, თქვენ უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადეთ მათ. მარტო შეერკინეთ მსოფლიო ბოროტების მანქანას ღვთის შემწეობით. მრავალჯერ მიიტანეთ საკუთარი თავი ერის ღირებულებების სამხსვერპლოზე. მრავალჯერ სასწორზე იდო თქვენი ჯანმრთელობა, მაგრამ თქვენ თავი არ დაგიხრიათ. თქვენი დევიზი „გიყვარდეს მტერი შენი, ებრძოდე მერს მამულისას, გძაგდერს მტერი უფლისა“. ამ მცნებისთვის არასოდეს გიღალატიათ. ახლაც გარკვეულწილად ჯანმრთელობაშერყეული, მრავალჭირვარამგამოვლილი კვლავ იღვწით, კვლავ აშენებთ, ამშვენებთ. თქვენი ფიქრები სამშობლოს, მისი მტკივნეული მდგომარეობის სიღრმისეული აღქმით, სარწმუნოების ერთგულებით შემოიფარგლება. დედა ღვთისამ თქვენ გამოგარჩიათ, თქვენ მოგანდოთ ჰმწყსა ჭეშმარიტი სამწყსოსი, თქვენ მოგანდოთ სჯულის კანონის მკაცრად დაცვა, უფლის მცნებების შეუბღალავი აღსრულება, თქვენ მოგანდოთ ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ხატის „პორტაიტისად“ წოდებული ტაძრის აგება, რათა განეშზადოს სავანე ათონის წმიდა მთიდან ჩამობრძანებულ ხატს.

თქვენ ბევრჯერ გაგიმეორებიათ სულიწმიდის მადლით აღვსილი პატრიარქის ამბროსი ხელაიას სიტყვები: „გული ჩემი საქართველოს ეკუთვნის, სული ჩემი — ღმერთს“...

თქვენ პირნათელი დგახართ საკუთარი თავის, ერის, შთამომავლობის და რაც ყველაზე აღმატებულია, ღმერთის წინაშე.

მამა ბასილ, გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს — შობას უფლისა და მაცხოვრისა უფლისა იესო ქრისტესი, დამდეგ 2022 წელს, უდიდესი მამის, ბასილი დიდის ხსენების დღეს, თქვენი დაბადებიდან 76-ე წლისთავს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, თანადგომას, ერთგულებას თქვენი მრავალრიცხოვანი მრევლისგან, თქვენ უერთგულეს მართლმორწმუნე დიდ ოჯახთან ერთად.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

გფარვიდეთ დედა ღვთისას მადლიანი კალთა.

გლდანის ივერიის
ყოვლადწმიდა
ღმრთისმშობლის სახელობის
ეკლესიის მოძღვარი
მამა ვახტანგი (მარგიანი),
მრავალრიცხოვანი

როგორ შეიძლება ბანდიტებთან, ტერორისტებთან და მკვლელებთან მოლაპარაკება! ისინი უნდა განადგურდნენ!“

ახალი, 2022 წლის დადგომისთანავე საგანგაშო ცნობები გავრცელდა შუა აზიიდან — რეგიონის ერთ-ერთ დიდ და მნიშვნელოვან ქვეყანაში, ყაზახეთში მასობრივი არეულობების აგორების შესახებ

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ქვეყანაში ვითარება ყოველ წუთს სულ უფრო მწვავდებოდა. სხვადასხვა ქალაქებში დაიწყო სროლები. განსაკუთრებით მძიმე ვითარება ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმა-ატაში შეიქმნა. ტოკაევმა რამდენჯერმე მოუწოდა მოსახლეობას სიმშვიდისკენ, მაგრამ უშედეგოდ. დაწყნარების ნაცვლად, ამბოხებულებმა სახელმწიფო ორგანიზაციებს, სამართალდამცველებს, სამხედრო ნაწილებს შეუტიეს... დაარბიეს და გადაწვეს ალმა-ატაში არსებული პრეზიდენტის ყოფილი რეზიდენ-

ცია. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 5 იანვარს ათასზე მეტი დაშავებული იყო აღრიცხული. იყვნენ დაღუპულებიც, მაგრამ ზუსტი რაოდენობის დადგენა, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო. გავრცელებულ სატელევიზიო კადრებში კარგად ჩანდა, როგორ ურიგებდნენ იარაღს ამბოხებულებს ქალაქებში. ქვეყანაში შეწყდა მობილური კავშირი, ინტერნეტი.

იმავე დღეს პრეზიდენტმა ტოკაევმა ყაზახეთში მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე კომენდანტის საათი გამოაცხადა და საგანგებო მდგომარეობა შემოიღო. მისი განცხადებით, ყაზახეთის სახელმწიფოებრიობის არსებობას საფრთხე შეექმნა. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ამბოხებულებს უცხო ქვეყნის წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენ. ტოკაევმა თავად შეითავსა ქვეყნის უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობა, რომელიც ყაზახეთის პირველ პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს ეკავა. ნაზარბაევმა მოსახლეობას ხელისუფლების მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

დროული აღმოჩნდა ტოკაევის გადაწყვეტილება, რომელმაც თანამეგობრობის კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციას (რომლის წევრი ყაზახეთიც არის) სთხოვა დახმარება ტერორიზმთან საბრძოლველად. ორგანიზაციამ, რომელსაც ახლა სომხეთი თავმჯდომარეობს, ოპერატიულად განიხილა ტოკაევის თხოვნა. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ პაშინიანმა სასწრაფოდ გამართა კონსულტაციები ვიდეოჩართვით წევრი ქვეყნების პირველ პირებთან და მიიღეს გადაწყვეტილება ყაზახეთში სამშვიდობო ძალების გაგზავნის შესახებ. ყველაზე მეტი სამხედრო, თავისთავად, რუსეთმა გააგზავნა. სომხეთმა და ყირგიზეთმა თითო ასეული, ასევე სოლიდური რაოდენობით სამხედრო მოსამსახურე გაგზავნა ბელორუსმა და ტაჯიკეთმა.

კოლექტიური უსაფრთხოების ჯარები მხოლოდ სამთავრობო, ქვეყნის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების, საელჩო-საკონსულოების დაცვას განახორციელებენ. რუსეთის მხარეს განსაკუთრებით ბაიკანურის კოსმოსური ცენტრი აღელვებს, საიდანაც კოსმოსში რაკეტები გაჰყავთ. ტერორისტებთან ბრძოლას კონკრეტულად თავად ადგილობრივი სამხედროები განახორციელებენ.

ვიდრე სამშვიდობო ძალები შევიდოდნენ, ყაზახეთში სავალალო ვითარება შეიქმნა. განსაკუთრებით ალმა-ატაში. მთელი ღამის განმავლობაში იძარცვებოდა მაღაზიები, ბანკები... მოკლედ, ყველა ობიექტი, საიდანაც შეიძლებოდა რაიმეს წაღება. არბევდნენ პოლიციის განყოფილებებს, სამხედრო ნაწილებს, საიდანაც გაჰქონდათ საბრძოლო იარაღი. დამამცირებლად ეპყრობოდნენ სამხედროებს. მოკლეს (რაც უკვე ცნობილია) 18 სამართალდამცველი. აღსანიშნავია, რომ სამს თავები მოჭრეს, რაც ყაზახეთში მიმდინარე არეულობებში რადიკალური ისლამისტი ტერორისტების მონაწილეობას ადასტურებს.

მოროდიორობა, ძარცვა, ძალადობა ყაზახეთის ცალკეულ რეგიონებში რამდენიმე დღე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. პრეზიდენტის შეფასებით, მოსახლეობა ბანდიტებისა და საერთაშორისო ტერორისტების მსხვერპლი გახდა.

ტერორისტები არც ჟურნალისტებს ინდობდნენ. დაარბიეს 5 ტელეკომპანიის ოფისები. ყაზახეთის ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით, არეულობებში მონაწილეობდნენ ავღანეთიდან გადასული რადიკალები, მაგრამ როგორ შევიდნენ ისინი ქვეყანაში, არ აკონკრეტებენ.

თანამეგობრობის ორგანიზაციის სამშვიდობო ძალები ოპერატიულად ჩავიდნენ ყაზახეთში, რის შემდეგაც დაიწყო ქვეყანაში ვითარების გაუმჯობესება. პირველივე დღეს სამშვიდობოებმა თითქმის ყველა ბლოკირებული სახელმწიფო დაწესებულება გაათავისუფლეს. გაირკვა, რომ ტერორისტების რიგებში პროფესიონალი სნაიპერები იყვნენ, რომლებიც სპეციალური ოპტიკურსამიზნიანი შაშხანებით უტევდნენ პოლიციას და სამხედროებს. დააკავეს რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც იარაღით ამარაგებდნენ რადიკალებს. მსგავსი კონტრაბანდისტების ძებნა-გამოვლენა დღემდე გრძელდება. ასევე აღმოაჩინეს იარაღის რამდენიმე საიდუმლო საცავი, საიდანაც დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალები ამოიღეს. გამოაშკარავდა, რომ ალმა-ატის ერთ-ერთ უბანში მასობრივად ამზადებდნენ კუსტარულ ასაფეთქებლებს, მათ შორის, ე.წ. მოლოტოვის კოქტეილებს.

ექსპერტების შეფასებით, ყაზახეთს ერთ-ერთი საუკეთესოდ მომზადებული უშიშროების სამსახური ჰყავს არამარტო რეგიონში, არამედ მთელ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის. მათთვის გაუგებარია, როგორ გამოეპარათ მომხდარი არეულობა, რომელიც არა სპონტანური, არამედ წინასწარ კარგად დაგეგმილი და ორგანიზებული იყო. პრეზიდენტ ტოკაევის განცადებით: „...გასარკვევია, რატომ გამოეპარა სახელმწიფოს მოსალოდნელი ტერაქტის სამზადისი. მხოლოდ ალმა-ატას ოცი ათასი

რადიკალი უტევდა“. ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე მკტიცებით ფორმაში ამბობენ, რომ არსებობდა ერთიანი საკოორდინაციო შტაბი, საიდანაც იმართებოდა არეულობები. ვიდეოკადრებში კარგად ჩანს, როგორ ხელმძღვანელობენ ამბოხებულებს წითელ ქურთუკებში ჩაცმული ადამიანები. ასევე, არის მოსაზრება, რომ ტერორისტებს ხელს სხვადასხვა დონის ჩინოვნიკები უწყობდნენ. სახელმწიფო ღალატის ბრალდებით დააპატიმრეს ყაზახეთის უშიშროების სამსახურის უკვე ყოფილი ხელმძღვანელი კარიმ მასიმოვი. იგი ნაზარბაევის პრეზიდენტობის პერიოდში ორჯერ იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, მუშაობდა სხვადასხვა საკვანძო თანამდებობებზე. დაკავებულები არიან სხვა ჩინოვნიკებიც, მაგრამ მათი ვინაობა ჯერ არ გაუსაჯაროებიათ.

წარმატებული აღმოჩნდა კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის პირველი მისია არსებობის 30 წლის განმავლობაში. თუმცა ყაზახეთში სამშვიდობო ძალების შესვლით უკმაყოფილო არიან დასავლეთის ქვეყნებში. ევროჩინოვნიკ ჟოზეპ ბარელის შეფასებით, სამშვიდობო ძალების შეყვანა ნაჩქარევი იყო (?!).

პრეზიდენტმა კასიმ ტოკაევმა მოსახლეობას მიმართა: „...უცხოეთის ცალკეული ქვეყნები გვთავაზობენ, მოლაპარაკება ვაწარმოოთ ამბოხებულებთან. რა სისულელეა! როგორ შეიძლება ბანდიტებთან, ტერორისტებთან, მკვლელებთან მოლაპარაკება! ისინი უნდა განადგურდნენ!“ ბოლო მონაცემებით, ყაზახეთში უკვე 8 ათასი ადამიანია დაკავებული, მათ შორის, ბევრი უცხოეთის მოქალაქე, რომლებსაც ხანგრძლივი პატიმრობა ელით.

ყაზახეთში 164 მშვიდობიანი მოქალაქეა დაღუპული, აქედან, სამი ბავშვი. ამჟამად ყაზახეთი უბრუნდება ჩვეულ ცხოვრებას, მაგრამ წესრიგის სრულ აღდგენაზე ლაპარაკი ნაადრევია.

მსოფლიოს პოლიტიკოსების ყურადღება ამჟამად შვეიცარიისკენ არის მიმართული, სადაც აშშ-რუსეთის დელეგაციების შეხვედრა მიმდინარეობს, რუსეთის დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რიაბკოვი ხელმძღვანელობს, აშშ-ისას — ენტონი ბლინკენის პირველი მოადგილე ვენდი შერმანი. განიხილავენ რუსეთის წინადადება-პრეტენზიებს, რომლებიც დოკუმენტურად დეკემბერში გადასცეს აშშ-ს. რუსეთმა იმთავითვე გაასაჯაროვა თავისი მოთხოვნები, რითიც ამერიკელები გაანაწყენა. 30 დეკემბერს აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების დაუგეგმავი ვიდეოშეხვედრა შედგა, რომელიც სრულიად გასაიდუმლოებული იყო. ცნობილია, რომ დიალოგი 50 წუთს გაგრძელდა. პრეზიდენტები ჯო ბაიდენი და ვლადიმირ პუტინი შეთანხმდნენ, რომ უშუალოდ გაუწევენ კოორდინაციას შვეიცარიაში ორმხრივ მოლაპარაკებას.

გია ბურდული
551 71 27 07

უნდა შეუერთდეს თუ არა საქართველო 3+3 ფორმატის პლატფორმას?

კავკასიის დღის წესრიგში 3+3 ფორმატის პლატფორმის შექმნის ინიციატივა და იდეა დგას, რომელიც სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს რეგიონულ თანამშრომლობას ითვალისწინებს სამ დიდ და გავლენიან მეზობელთან – თურქეთთან, რუსეთთან და ირანთან ერთად. აზერბაიჯანისა და თურქეთის ლიდერები გვთავაზობენ ყველა საკომუნიკაციო მარშრუტის განბლოკვას და სომხეთის ტერიტორიაზე სატრანზიტო მიმოსვლის აღდგენას, რომელიც ყარაბაღის კონფლიქტის დაწყების შემდეგ შეჩერდა.

აზერბაიჯანი ამ ფორმატის საავალდებულო პარტნიორებად სომხეთსა და საქართველოს მიიჩნევს, რადგან სხვაგვარად ყოველივე აზრს კარგავს, ამიტომ ამ პლატფორმის განხორციელების მთავარი პირობაა ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს ურთიერთქმედება. მსგავს ფორმატში საქართველო და სომხეთი ირიბად უკვე მონაწილეობენ. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიის გავლით საქონელი გადის რუსეთიდან თურქეთში და პირიქით, სომხეთიდან რუსეთში და რუსეთიდან სომხეთში საქონლის მიწოდებაც საქართველოს ტერიტორიის გავლით ხორციელდება. არსებობს ასევე რუსეთ-საქართველო-სომხეთი-ირანის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის ერთობლივი პროექტი, რომელიც შესაბამისი უწყებების დონეზე განიხილება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა 8 ოქტომბერს განაცხადა: „თბილისი ახალი მოლაპარაკების ფორმატში რაიმე სახით მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი, მიუხედავად რუსეთთან არსებული უთანხმოებისა". საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „წითელი ხაზები" გადის ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე.

„ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ რეგიონში განვითარებულ პროცესებს და აუცილებლად მივიღოთ მონაწილეობა ყველა ახალ, თუნდაც ინფრასტრუქტურულ პროექტში, რომლის მიღმაც, მოსალოდნელია, დარჩეს საქართველო, რამაც შეიძლება ქვეყნის როლისა და ფუნქციის დაკარგვა გამოიწვიოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში მკაფიოდ გამოხატული პოზიცია დავიჭიროთ, რათა ჩვენი ქვეყნის ინტერესები არ დაზარალდეს", – განაცხადა ზალკალიანმა. თუმცა პარლამენტში გამოსვლისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა შემდგომში განმარტა და განაცხადა, რომ „საქართველო არ გეგმავს მონაწილეობას 3+3 მოლაპარაკების ფორმატში სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირების განბლოკვის საკითხთან დაკავშირებით.



რა გვაქვს ხელთ, სინამდვილეში, რუსეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თემასთან დაკავშირებით, სანამ გავაცნობიერებდეთ იმას, თუ რას გვთავაზობს 3+3 ფორმატი?

ფაქტობრივად, საქართველო უკვე მონაწილეობს ეკონომიკურ პროექტებში, რომლებშიც, ასეა თუ ისე, უკვე ჩართულია რუსეთი. საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოსთვის 3+3 ფორმატი მიუღებელია. მაგრამ როგორ არის საქმე „1+1" – საქართველო და რუსეთი" ფორმატის შემთხვევაში?

გთავაზობთ უმოკლეს ექსკურსს 2021 წელს საქართველოში რუსულ კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებით.

რუსეთმა, ფაქტობრივად, იყიდა და ის აკონტროლებს საქართველოს ენერგეტიკის თითქმის მთელ სექტორს. რუსეთს ეკუთვნის: ქართული კომპანია „თელასი", სითბური ელექტროსადგური „მტკვარი-ენერგეტიკა", ჰესები – ხრამჰესი 1, ხრამჰესი 2. „ინტერრაო", უძლიერესი ჰიდროელექტროსადგური „ენგური". რუსეთის მოქალაქე ასევე ფლობს შპს „ენერგიას", რომელსაც ეკუთვნის დარიალი-ჰესი, ლარს-ჰესი, შილდა-ჰესი. რუსეთის მოქალაქეები ფლობენ ავანის ჰიდროელექტროსადგურს, ალგეთის ჰიდროელექტროსადგურს, სკურდიდის ჰიდროელექტროსადგურს. ქართული და რუსული მხარეები ასევე ერთობლივად ფლობენ „საქრუსენერგოს", რომელიც მართავს ქვეყნის ელექტროგადამცემ სისტემას.

სხვათა შორის, 2011 წელს ხრამჰესის გაყიდვიდან მიღებული თანხა (99 774000 ლარი) ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობას მოხმარდა.

2002 წლიდან საქართველოში მოქმედებს რუსული კომპანია "ლუკოილ ჯორჯია", რომელიც საწვავის იმპორტს ახორციელებს საქართველოში და ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორია. საქართველოში 62 ავტოგასამართი სადგურია. „ლუკოილ ჯორჯია" რუსული საააქციო საზოგადოება „ლუკოილის" შვილობილი კომპანიაა.

RMG Gold და **RMG Copper** არიან ძვირფასი ლითონების მომპოვებელი კომპანიები, რომლებიც **Rich Metals Group**-ის მფლობელობაშია. ეს უკანასკნელი კი რუს მილიარდერებს დიმიტრი ტროიცკის და დიმიტრი კორჟიევს ეკუთვნის.

რუსეთი ფლობს ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურს, ასევე თბილისის, მცხეთისა და რუსთავის „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ"-ის წყალმომარაგების კომპანიებს. თბილისის მოსახლეობას სასმელ წყალს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ"-ი (**GWP**) აწვდის. ოფიციალური მფლობელი არის შპს „ჯორჯიან გლობალ უტილითი", რომელიც რეგისტრირებულია ოფშორულ ზონაში. კომპანიის დირექტორები არიან მიხეილ ტუზოვი და ვლადიმერ კოზინი.

მიხეილ ტუზოვი სხვადასხვა დროს მუშაობდა **InetRao**-ს რუსულ ფილიალებში. ალექსეი ფროლოვი, **GWP**-ის მწარმოებელი დირექტორი, რუსეთის მოქალაქე, ადრე მუშაობდა შპს „როსვოდოკანალის" ტექნიკური დირექტორის მოადგილედ. **GWP** ასევე აწარმოებს ელექტროენერგიას, საშუალო წლიური გამომუშავებით 20–25 მლნ კვტ/სთ.

საკომუნიკაციო კომპანია **Mobitel**-ი საქართველოში 2007 წელს შემოვიდა „ბილაინი"-ს ბრენდის სახით. კომპანია რუსული **VimpelCom** ჯგუფის ნაწილია.

რუსეთის მოქალაქეების ხელშია სს „ელმავალმშენებელი" – მუდმივ დენზე მომუშავე სამაგისტრალო ლოკომოტივების მწარმოებელი. რუსეთის მოქალაქეები ლოკომოტივმშენებლის დამაარსებელ დოკუმენტაციაში 2005 წლიდან ფიგურირებენ, როდესაც რუსულმა **Dema Computers**-მა აქციების 51% შეიძინა.

„ვი-თი-ბი ბანკი საქართველო"-ს აქციების 96,81% ეკუთვნის რუსულ ბანკს **VTB**.

რუსული ფული არასახელმწიფო სექტორშიც აღწევს. პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციები და მასთან დაკავშირებული მედიასაშუალებები საკმაოდ მრავლად და აქტიურად არის წარმოდგენილი საქართველოში.

2013–2019 წლებში ქართული ღვინის ექსპორტი გაიზარდა 158 მილიონი აშშ დოლარით (244%), საიდანაც 110 მილიონი აშშ დოლარი მოდის რუსეთში წარმოებულ გაყიდვებზე. 2019 წელს საქართველომ რუსეთში 133 მილიონი დოლარის ღირებულების ღვინო გაიტანა, რაც საქართველოს ღვინის მთლიანი ექსპორტის 57%-ს შეადგენს. საქართველოს მიერ მოხმარებული ხორბლის 70%-მდე რუსეთიდან შემოდის.

ჩამონათვალში, რომელიც საკმაოდ გრძელია, არის უამრავი სხვა სტრატეგიული ობიექტი, რომელიც რუსეთის საკუთრება გახდა. გამოდის, რომ დამპყრობელი ქვეყნის მიმართ არანაირი ემბარგო და სანქციები არ მოქმედებს, საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობა დაუბრკოლებლად მიმდინარეობს.

ისმება კითხვა: 3+3 ფორმატი რაიმე განსხვავებულს გვთავაზობს?

დღეს ოპოზიციური მხარის ბევრი ლიდერი და ხელისუფლებაში მყოფნიც, პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპერტებიც კამერის წინ რუსული ოკუპაციის მოწინააღმდეგენი არიან, მაგრამ ცოტა თუ საუბრობს იმაზე, თუ რამდენი ხანია გრძელდება ოკუპანტი ქვეყნის, რუსეთის კაპიტალის სისტემატური შემოდინება საქართველოში.

სვანეთში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა თურქულმა კომპანიებმა დაბლოკა და საქართველოდან თითქმის მილიარდი დოლარის ინვესტიციის გადინება მოხდა. ამას აკეთებდნენ მოსყიდული ჯგუფები და ორგანიზაციები, რომლებიც თითსაც არ გაატოკებდნენ, ამგვარი რამ რომელიმე კომპანიის ზურგს ამოფარებული რუსული კაპიტალით რომ აშენებულიყო.

დღეს საქართველოსთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია და იგი მუშაობს რუსული კაპიტალის წილის გაზრდაზე ქართულ ბიზნესში. 2019 წელს საქართველომ, დაახლოებით, 1,6 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო რუსი ტურისტებისგან, ფულადი გზავნილებიდან და რუსეთში ექსპორტირებული საქონლიდან, რაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 9%-ს შეადგენს.

დღესდღეობით რუსეთს ყველაზე სერიოზული ეკონომიკური ბერკეტი აქვს საქართველოზე უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში. საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე არ არის მხოლოდ ეკონომიკური პრობლემა, ეს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ნამდვილი გამოწვევაა. სწორედ 3+3 ფორმატს შეუძლია ამ გამოწვევის განეიტრალება, ასეთი დისბალანსის დასტაბილურება შესაძლებელია თურქეთის, აზერბაიჯანის და ირანის მონაწილეობით, რომლებიც საქართველოსთვის ოფიციალურად მეგობარი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნები არიან.

დღეს საქართველოს საჯარო და სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე გვესმის, რომ ექვს ქვეყანას შორის თანამშრომლობის პლატფორმის შექმნა, მიუხედავად მათი ორმხრივი ინტერესისა, შეუძლებელია საქართველოსა და რუსეთს შორის ტერიტორიული დავების გადაწყვეტის გარეშე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში. საკმაოდ გონივრული პასუხიც მოიძებნებოდა, ოკუპანტ ქვეყანას რომ არ ემართა თითქმის მთელი ენერგეტიკა და ინვესტიციები საქართველოში. ნუთუ არ გვაწუხებს, რომ საქართველოში 100-ზე მეტი სტრატეგიული ობიექტი რუსეთის საკუთრებად იქცა?

როგორ უკვე ვთქვი, რეგიონში სამი დიდი და სამი მცირე რეგიონული მოთამაშეა – რუსეთი, თურქეთი, ირანი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი. საქართველოს ყველა ქვეყანასთან აქვს ეკონომიკური კავშირი. რუსული კაპიტალის საქართველოში შემოდწევის დონე აღემატება რეგიონის ყველა სხვა ქვეყნის მაჩვენებელს. შეიძლება ვინმეს არ მოეწონოს ეს, მაგრამ ეს არის სიმართლე.

რატომღაც ქართულ საზოგადოებას გარემოებებს იმგვარად წარმოუჩენენ, თითქოს „3+3" ფორმატის იდეა არის ის, რომ აშშ და ევროკავშირი ვერ ჩაერევიან სამხრეთ კავკასიის საქმეებში, თუ მისიას თურქეთს ანდობენ.

თურქეთის დადანაშაულება იმაში, რომ არასანდო პარტნიორია და დასავლეთი წინააღმდეგი არ იქნება თურქეთის ამ ფორმატში მონაწილეობაზე, მოდის სომხეთის რევანშისტული წრეებიდან, რომლებმაც ანტითურქული თავდასხმებით წალეკეს მედიასივრცე. ცხადია, თურქეთს საკუთარი ინტერესები აქვს რეგიონში, იგი მუდამ ცდილობდა თავისი პოლიტიკა განეხორციელებინა რეგიონის სამი ქვეყნის მიმართ საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის საკითხებთან, შიდა სუვერენულ საქმეებში ჩაურევლობასთან დაკავშირებით. სომხეთი ეჭვქვეშ აყენებს „3+3" ფორმატს, რადგან ცდილობს ამ პერსპექტივასთან მიმართებაში აზერბაიჯანს და ყველა მონაწილე ქვეყანას მთიანი ყარაბაღის სტატუსის შესახებ მორიგი სისულელე მოახვიოს თავს.

დღეს საქართველო საუბრობს რუსეთთან ერთად რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციაში მონაწილეობის შეუძლებლობაზე და აქ მთავარი მიზეზი ქართული მიწების ოკუპაციაა. თუმცა საქართველო არაერთი საერთაშორისო პოლიტიკური სტრუქტურისა და პლატფორმის წევრია, სადაც რუსეთიც წარმოჩნდება, როგორც მხარე გაეროში, ევროპის საბჭოში, ან ეუთოში და ბევრ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში.

რა უშლის ხელს საქართველოს ყოფნას რეგიონულ ეკონომიკურ ორ-

განიზაციაში, სადაც საქართველოს ინტერესები უნდა იყოს დაცული და გათვალისწინებული? თუ საქართველო არ შევა „3+3“ ფორმატში, რუსული ბიზნესი და ინვესტიციები საქართველოდან გავა, რუსული საქონლის მიმოსვლა საქართველოს გავლით შეჩერდება, თუ პურს დასავლეთის ქვეყნებიდან ვიყიდით?

3+3 ფორმატიდან საზოგადოებისთვის იქმნება საფრთხობელა, სადაც, ვითომ, საქართველომ შეიძლება დაკარგოს სუვერენიტეტის პატივი. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარუმატებელი სტრუქტურის დემონიზაციის ნებისმიერი მცდელობა ხელს აძლევს მათ, ვინც შეწუხებულია კავკასიაში მშვიდობის დამყარების პერსპექტივით და ვისაც ნამდვილად არ სურს საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარება.

პროდასავლელი ანალიტიკოსები შეშფოთებულნი არიან, რომ „3+3“ ფორმატი თითქოს საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს რეგიონიდან „განდევნის“. აცხადებენ, რომ „დასავლეთი წინააღმდეგია“, მაგრამ ეს „წინააღმდეგი“ ითვალისწინებს თუ არა საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს და ჩაანაცვლებს



თუ აანაზღაურებს იმ ზარალს, რომელიც შეიძლება მიიღოს საქართველომ არმონაწილეობის სანაცვლოდ? ვინმე აპირებს კომპენსაციას?

ევროკავშირს თავის კარიბჭემდე მიჰყავს გაზსადენები რუსეთიდან, რითაც საკუთარ ინტერესებს უზრუნველყოფს ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში. მაშინ ლოგიკური იქნებოდა ევროკავშირისთვისაც ამგვარი პასუხის გაგვეცა, თუმცა გასაგებია, რომ საქართველოსა და ევროკავშირის წონითი კატეგორიების შედარებაც კი არ შეიძლება, მაგრამ ჩვენი ამოსავალი წერტილი საერთაშორისო სამართალსა და ურთიერთობებში თანასწორობის ლოგიკაა.

დასავლეთის მიერ ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტში ჩადებული დიდი ინვესტიციები არსად წავა. თუკი დღეს დასავლეთი ეწინააღმდეგება ამ ფორმატს, ვინმე იძლევა კომპენსაციის გარანტიას იმ შემთხვევაში, თუ საქართველო სატრანსპორტო და ენერგეტიკულ ჰაბად გადაქცევის შანსს დაკარგავს? ინვესტიციებსა და რეალური ფულს დაკარგავს? თუკი დასავლეთს მეტის შეთავაზება შეუძლია, მაშინ ღირს ვაჭრობა.

შემოთავაზებული თანამშრომლობის პლატფორმა „3+3“ ფორმატში მიზნად ისახავს დიდი და პატარა რეგიონული მოთამაშეების ინტერესების ურთიერთკოორდინაციას. პლატფორმის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა მდგომარეობს თანამშრომლობის ერთიანი საერთო კავკასიური სივრცის შექმნაში, პირველ რიგში, ეკონომიკის დარგში.

ცხადია, ამ ვითარებაში „3+3“ ფორმატის რეგიონალურ ძალებს შორის მთავარი დაინტერესებული მხარეებია რუსეთი და თურქეთი. ირკვევა, რომ მოლაპარაკებას და თანამშრომლობას ალტერნატივა არ გააჩნია და სარგებელიც ყველამ უნდა მიიღოს. ამისთვის რეგიონში კონფლიქტები უნდა მოგვარდეს, კომუნიკაციები უნდა იყოს ღია, ნდობის ატმოსფერო ჩამოყალიბდეს, მათ შორის აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ამ დროისთვის აფხაზეთის გავლით რკინიგზის გახსნის საკითხი არ დგას, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს საკითხი საქართველოს აღელვებს. საქართველოს შეუძლია წამოაყენოს საკუთარი პირობები მონაწილეობისთვის და აწარმოოს მოლაპარაკება ამ თემაზე.

ირანთან და სომხეთთან საზღვრებზე აზერბაიჯანის სრული კონტროლის აღდგენა ზანგეზურის სატრანსპორტო დერეფნის პროექტის განხორციელებას შესაძლებელს ხდის. ამ დერეფნის მხოლოდ გახსნაც კი უზრუნველყოფს პირდაპირ სარკინიგზო კავშირებს რეგიონის ექვსივე ქვეყანას შორის. აზერბაიჯანი ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან და თურქეთთან სარკინიგზო კავშირს სრულად ამყარებს სომხეთის ტერიტორიის 46-კილომეტრიანი დერეფნის გავლით. სომხეთი ნახიჩევანის გავლით სარკინიგზო კავშირს მიიღებს ირანთან, ხოლო დანარჩენი აზერბაიჯანის გავლით — რუსეთთან. ირანი ასევე აღადგენს რუსეთთან სარკინიგზო კომუნიკაციას ნახიჩევანისა და ზანგეზურის დერეფნის გავლით და, სხვა საკითხებთან ერთად, შეძლებს რკინიგზით წვდომას საქართველოს შავი ზღვის პორტებამდე ნახიჩევანის გავლით და შემდგომ სომხეთში.

ერთ დროს რუსეთი ყარაბაღის საკითხთან მიმართებაში მხარს უჭერდა სომხეთს. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანმა თანდათან მოახერხა ამ საკითხში მოსკოვს ნეიტრალური პოზიცია დაეკავებინა ასევე, საქართველო, ალბათ, ამ პლატფორმაში გაწევრიანებით, რუსეთთან დიალოგში შევა. თანამშრომლობის დამყარებამ კი, შესაძლოა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, შეცვალოს კრემლის პოზიცია საქართველოს მთლიანობასთან დაკავშირებით.

ბევრი ხედავს ამ ფორმატში მხოლოდ „სამხედრო ალიანსს“, „რეგიონულ-პოლიტიკურ სტრუქტურას“, მაგრამ არ საუბრობს იმ კოლოსალურ რეგიონულ ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებზე, რაც რეგიონის ყველა ქვეყანას შეუძლია მიიღოს.

ელბრუს მამედოვი
აზერბაიჯანი-საქართველო-
თურქეთის სტრატეგიული
პარტნიორობის
საზოგადოებრივი და
საინფორმაციო
მხარდაჭერის ცენტრი

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78 64 69

— შემოვიდა ჩემთან სატელეფონო ზარი გაზეთის მკითხველისაგან. ამ დროს ვიმყოფებოდი შეხვედრაზე, რის გამოც ჩვენი საუბარი ვერ შედგა. ერთადერთი, რის გაგებაც შევძელი, იყო სამეზობლო სამართლის თემა. არ მინდა, ჩვენი გაზეთის მკითხველი უყურადღებოდ დავტოვო. ამიტომ სამეზობლო სამართლის ნორმებს სრულად დავაფიქსირებ აქ. იმედია, ჩვენი მკითხველი იპოვნის პასუხს თავის შეკითხვებზე.

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავი / სამეზობლო სამართალი/

მუხლი 174. ცნება. ურთიერთპატივისცემის მოვალეობა

მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა, ვალდებულნი არიან პატივი სცენ ერთმანეთს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება.

მუხლი 175. სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება

1. მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას.

2. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ზემოქმედება არსებითია, მაგრამ იგი გამოწვეულია სხვა ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა.

3. თუ მესაკუთრე მოვალეა ითმინოს ასეთი ზემოქმედება, მას შეუძლია ზემოქმედების გამომწვევი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედება აღემატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს.

მუხლი 176. დაუშვებელი ხელყოფა

მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა.

მუხლი 177. საფრთხის აღკვეთის მოთხოვნა

თუ მიწის ნაკვეთს მეზობელი ნაკვეთიდან შენობის ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს აუცილებელ ღონისძიებათა გატარება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. დაუშვებელია რამდენიმე მიწის ნაკვეთზე გამდინარე წყლებისა და მიწისქვეშა წყლების მიმართულების შეცვლა ან ამ წყლებით მანიპულირება ისე, რომ ამან სხვა მიწის ნაკვეთზე წყლის რაოდენობის შემცირება ან/და ხარისხის გაუარესება გამოიწვიოს; დაუშვებელია მდინარეთა ბუნებრივი დინების ხელყოფა.

მუხლი 178. მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრის უფლება ნაყოფზე

1. თუ ხის ან ბუჩქის ნაყოფი მეზობელ მიწის ნაკვეთზე დავარდა, იგი ჩაითვლება ამ ნაკვეთის ნაყოფად.

2. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოჭრას იმ ხის ან ბუჩქის ფესვები, ტოტები, რომლებიც მის ნაკვეთზე გადავიდა.

მუხლი 179. ფულადი კომპენსაცია თმენის ვალდებულებისათვის

1. თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე გადასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრემ ეს უნდა ითმინოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის წინააღმდეგ წინასწარ ან შეტყობისთანავე განაცხადა.

2. საზღვრის დამრღვევი მეზობელი ვალდებულია გადაიხადოს ფულადი კომპენსაცია, რომელიც ყოველწლიურად წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი.

მუხლი 180. აუცილებელი გზა

1. თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს.

2. აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი უკვე არსებული დაკავშირება მიწის ნაკვეთისა გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით.

მუხლი 181. სასაზღვრო მიჯნის აღმართვის მოვალეობა

1. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს მონაწილეობის მიღება მყარი სასაზღვრო მიჯნის აღმართვაში, ან უკვე არსებული, მაგრამ წაშლილი ან დაზიანებული მიჯნის აღდგენაში. გამიჯვნის ხარჯები მეზობლებს შორის თანაბრად ნაწილდება, თუ ურთიერთშეთანხმებით ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. თუ შეუძლებელია ზუსტი საზღვრის დადგენა, მაშინ გასამიჯნავად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეზობლების ფაქტობრივ მფლობელობას. თუ შეუძლებელია ფაქტობრივი მფლობელობის ზუსტი დადგენა, მაშინ სადავო ნაკვეთი თანაბრად განაწილდება ნაკვეთებს შორის. თუკი ეს განაწილება იწვევს უსამართლო შედეგებს, მაშინ ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე საზღვარს დაადგენს სასამართლო.

მუხლი 182. სასაზღვრო ნაგებობით სარგებლობის უფლება

1. თუ მიწის ორი ნაკვეთი ერთმანეთისაგან გამიჯნულია ღობით ან საზღვრად გამოყენებული სხვა ნაგებობით, ივარაუდება, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს აქვთ თანაბარი უფლება ისარგებლონ ამ ნაგებობით, თუკი ნაგებობის გარეგნული მხარე პირდაპირ არ მიუთითებს, რომ იგი მხოლოდ ერთ-ერთი მეზობლის საკუთრებაა.

2. თუ ორივე მეზობელი უფლებამოსილია ერთობლივად ისარგებლოს საზღვრად გამოყენებული ნაგებობით, თითოეულ მათგანს შეუძლია ნაგებობა მხოლოდ ისე გამოიყენოს, რომ ამით ხელი არ შეუშალოს მეორე მეზობელს თანასარგებლობაში.

3. ნაგებობის მოვლისა და შენახვის ხარჯები მეზობლებს შორის თანაბრად ნაწილდება.

4. ვიდრე ერთ-ერთი მეზობელი დაინტერესებულია ამ სასაზღვრო ნაგებობის არსებობით, დაუშვებელია მისი აღება ან შეცვლა მეზობლის თანხმობის გარეშე.

მადლობა

ყოფილი ფიზიკის მასწავლებელი ვარ. რამდენიმე კვირის წინ კორონა ვირუსი დაგვემართა მეც და ჩემი ოჯახის წევრებს. ყველა ჩვენგანი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში მოგვათავსეს. ჩვენი შესანიშნავი ექიმების პროფესიონალიზმის, გულისხმიერებისა და უდიდესი ყურადღების წყალობით, ყველანი მშვიდობით დავბრუნდით სახლში. კორონა ვირუსი დავამარცხე მეც. თქვენი გაზეთის საშუალებით უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა დიდი ლილოს დასახლებაში არსებული კოვიდ-ცენტრის მთავარ ექიმს, ქალბატონ ხათუნა ოტიაშვილს, ექიმ მაია თუშიშვილს, შესანიშნავ ექთნებს.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ, რომ, თითქოს კოვიდ-კლინიკებში პაციენტებს სათანადოდ არ უვლიან, მაგრამ, როგორ უნდა დავიჯერო ეს, როცა ჩვენს მიმართ საოცარ ყურადღებას იჩენდა ყველა, იყო განსაკუთრებული სისუფთავე, კვება, მოვლა-პატრონობა.

ვამაყობ ჩვენი ქართველი ექიმებით. მადლობა მათ.

სამგორის რაიონი, დიდი ლილო.

ლიდა ცხოვრებაშვილი

2021 წელს ყველაზე მეტად გამდიდრებული მილიარდერები

2021 გამდიდრებისთვის საუკეთესო წელი იყო. განსაკუთრებით — მილიარდერებისთვის.

Forbes-ის ვერსიის მიხედვით 2021 წელს ყველაზე მეტად გამდიდრებულ მილიარდერთა ათეულში ამერიკელების გარდა შევიდნენ ბიზნესმენები ინდოეთიდან, საფრანგეთიდან, ჩინეთიდან და ჰონკონგიდან...

ილონ მასკი. აშშ. ქონება 265,4 მლრდ დოლარი.

2021 + 109,8 მლრდ დოლარი.

Tesla-სა და **SpaceX**-ის კომპანიების ხელმძღვანელმა ილონ მასკმა კალიფორნიაში სახლები გაყიდა და ტექსასის შტატში დასაკეც სახლში გადავიდა, რომლის ფართობი 37 კვ.მ-ია და პოპ-ვარსკვლავ გრაიმსს დაშორდა...

მთელი წლის განმავლობაში **Tesla**-ს აქციების კურსი 39%-ით გაიზარდა, ხოლო 2021 წლის ნოემბერში მასკი ისტორიაში პირველი ადამიანი გახდა, რომლის ქონებაც 200 მლრდ დოლარად შეფასდა.

2021 წელს ილონ მასკმა ყველაზე მეტად გამდიდრებულ მილიარდერთა შორის მეორედ ზედიზედ დაიკავა პირველი ადგილი და საკუთარი რეკორდი მოხსნა.

გაუტამ ადანი. ინდოეთი. ქონება 81, 1 მლრდ დოლარი.

2021 + 52,5 მლრდ დოლარი.

გაუტამ ადანის კონგლომერატი **Adani Group**-ი ინფრასტრუქტურის განვითარებით, ნედლეულის მიწოდებით, ელექტროენერგეტიკითა და უძრავი ქონებით არის დაკავებული.

2021 წელს საჯარო კომპანია

Adani Gas-ის აქციების ღირებულება 400%-ით გაიზარდა, ენერგეტიკული კომპანია **Adani Transmission**-ის აქციებისა — 330%-ით, ხოლო კომპანია **Adani Enterpreises**-ის აქციებისა კი 250%-ით.

ლარი პეიჯი. აშშ. ქონება 126,3 მლრდ დოლარი.

2021 + 49,1 მლრდ დოლარი.

2021 წლის განმავლობაში **Google**-ს დამფუძნებელი კომპანიის **Alphabet**-ის აქციების ღირებულება 71%-ით გაიზარდა. ფინანსური ანალიტიკოსის დაგ ანმუტის თქმით, ინვესტორებს ძალიან მოსწონთ აქციები, რომლებსაც Googl-ის ტიკერები აქვთ და მათ ულაპარაკოდ იძენენ. ეს კი ლარი პეიჯისთვის კარგი ამბებია, რომელმაც 1998 წელს სტენ-

ფორდის კიდევ ერთ ასპირანტთან სერგეი ბრინთან ერთად დააარსა **Google.** პეიჯი დღემდე **Alphabet**-ის ყველაზე მსხვილი აქციონერი და დირექტორთა საბჭოს წევრია.

ლარი ელისონი. აშშ. ქონება 135,7 მლრდ დოლარი.

2021 + 47,5 მლრდ დოლარი.

2021 წელს **Oracle**-ს დამფუძ-

ნებლის, დირექტორთა საბჭოს წევრისა და ამ კომპანიის ტექნოლოგიების დირექტორის ლარი ელისონის ქონების ზრდას ორმა ფაქტორმა შეუწყო ხელი. ჯერ ერთი, პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებლის **Oracle**-ს აქციები 61%-ით გაძვირდა.

მეორეც, ელისონმა **Tesla**-ს აქციების ზრდიდანაც ნახა მოგება. მისი აქციების ღირებულებამ 2021 წლის ბოლოსთვის 15 მლრდ დოლარი შეადგინა.

სერგეი ბრინი. აშშ. ქონება 121,7 მლრდ დოლარი.

2021 + 46,7 მლრდ დოლარი.

Google-ს მეორე დამფუძნებლის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი მას შემდეგ, რაც პეიჯთან ერთად 2019 წელს კომპანიის ხელმძღვანელი პოსტები დატოვეს. ბრინი ჯერ კიდევ **Alphabet**-ის დირექტორთა საბჭოს წევრია და დაკავებულია ახალი თაობის უზარმაზარი დირიჟაბლების წარმოებით. ბრინი, ასევე, აფინანსებს პარკინსონის დაავადების კვლევებს. 2017 წლის მაისში მან **Alphabet**-ის აქციების ნაწილი გაყიდა, მაგრამ მაინც იმდენს ფლობს, რომ მისი ქონება რამდენიმე ათეული მლრდ დოლარით გაიზარდა **Google**-ს აქციების ფასების ზრდის ფონზეც კი.

ბერნარდ არნო. საფრანგეთი. ქონება 193, 9 მლრდ დოლარი.

2021 + 43 მლრდ დოლარი.

2021 წელს ფრანგი მილიარდერი ცოტა ხნით მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ადამიანად მიიჩნიეს კომპანიათა ჯგუფის **LVMH**-ის აქციების ღირებულების მკვეთრი მატების გამო. თუმცა შემდეგ მას ჯეფ ბეზოსმა და ილონ მასკმა გაუსწრეს. დღეისათვის ბერნარ არნოს პლანეტის უმდიდრეს ადამიანებს შორის მესამე ადგილი უკავია. 2021 წელს **LVMH**-ის აქციების ღირებულება ფუფუნების საგნებზე მომხმარებელთა მაღალი

მოთხოვნის გამო 29%-ით გაიზარდა.

სტივ ბალმერი. აშშ. ქონება 107,5 მლრდ დოლარი.

2021 + 32,3 მლრდ დოლარი.

სტივ ბალმერის საკალათბურთო კლუბის „ლოს-ანჟელეს კლიპერსის“ ღირებულება 20%-ით გაიზარდა გასულ წელთან შედარებით, მაგრამ ეს არ არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ მილიარდერი რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარით გამდიდრდა. სტივ ბალმერს 2000-იდან 2014 წლამდე კომპანია **Microsoft**-ის გენერალური დირექტორის პოსტი ეკავა. 2021 წელს **Microsoft**-ის აქციების ფასი 57%-ით გაძვირდა, რადგან

ინვესტორებს კომპანიის შემოსავლებისა და მოგების ზრდის მაღალი ტემპები მოეწონათ.

ჩჟან იმინი. ჩინეთი. ქონება 59,4 მლრდ დოლარი.

2021 + 31,7 მლრდ დოლარი.

2012 წელს ჩჟან იმინმა კომპანია **ByteDance** დააარსა, რომელმაც მსოფლიოში პოპულარული

დამატება **TikTok**-ი შექმნა. სწორედ **TikTok**-ის წყალობით მოხვდა ჩინელი ბიზნესმენი მსოფლიოს ყველაზე მეტად გამდიდრებულ მილარდერთა ათეულში.

2021 წლის მაისში ჩჟანმა **ByteDance**-ს გენერალური დირექტორის პოსტი დატოვა, ნოემბერში კი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა, რაც ჩინეთის ხელისუფლების მხრიდან ინტერნეტ-სექტორზე კონტროლის გამკაცრების გამო მოხდა. ჩჟანი **ByteDance**-ს აქციების 22%-ის მფლობელია.

რობინ ცზენი. ჰონგკონგი. ქონება 57,6 მლრდ დოლარი.

2021 + 26,8 მლრდ დოლარი.

ელექტრომობილებისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი მსხვილი

იონური აკუმულატორების დამამზადებელი კომპანიის **Contemporary Amperex Technology**-ს აქციების ღირებულებამ 58%-ით მოიმატა. მისი კლიენტები არიან ავტომწარმოებლები **BMW, Volkswagen**-ი და ამერიკული ელექტრომობილების კომპანია **Tesla.**

რობინ ცზენის მიერ 2011 წელს დაარსებული კომპანია ელექტრომობილების სწრაფად განვითარებადი ჩინური მწარმოებელია. ამ ცოტა ხნის წინათ **CATL**-მა განაცხადა იონური აკუმულატორების წარმოების გაფართოების მიზნით 9 მლრდ დოლარის ინვესტიციის მოზიდვის შესახებ.

ბილ გეიტსი. აშშ. ქონება 139,2 მლრდ დოლარი.

2021 + 18,9 მლრდ დოლარი.

ბილ გეიტსისთვის შარშანდელი წელი იოლი არ ყოფილა — ჯერ განქორწინება, შემდეგ საზოგადოების კრიტიკა ჯეფრი ეპშტეინთან დაკავშირებით და ძველი სამსახურებრივი რომანი... რაც შეეხება ფინანსებს, ამ მხრივ გეიტსი სრულ წესრიგშია. მიუხედავად იმისა, რომ პირველად ბოლო 30 წლის განმავლობაში ვერ დაიკავა ამერიკის ყველაზე მდიდარ 400 ამერიკელს შორის **Forbes**-ის რეიტინგში პირველი ან მეორე ადგილი და ყოფილ ცოლს

6,2 მლრდ-ის ღირებულების აქციები გადასცა, 2021 წლის 1 იანვართან შედარებით გეიტსი მაინც დაახლოებით 19 მლრდ დოლარით გამდიდრდა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99